Ქუთაისი 10 ივნისი, 1980 ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ხარს ვგევარ ნაიალღარს, რქით მიწასა ვჩხვეერ ვბუბუნებ.
ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე, მძინარეც ამას ვდუდუნებ.“ ვაჟა

თავისუფალი ტრიბუნა

825/1980/3

საქართველოს განთავისუფლებისათვის მებრძოლთა ორგანო

გამოცემის პასუხისმგებელი : გიორგი წერეთელი.

TAVISSOUPLEBISS TRIBOUNA

Journal périodique en langue géorgienne

№29 PARIS JUIN 1980 ივნისი პარიზი №29

გამოცემის მეექვსე წელი

გაუმარჯოს 26 მაისს
საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს

შინაარსი

.2 ოცდაექვსი მაისი — თამაზ ნასყიდაშვილი

.4 დამოუკიდებლობის დღესასწაული საფრანგეთში
არჩევნები პარიზის სათვისტომოში

.5 ვენეციის კონფერენციის განცხადება ავღანისტანზე

.6 საბჭ. კავშირის მაერთიანებელი ძალები: პოლიტიკური და
სამხედრო ხელისუფლება. ჯარი: ინტეგრაციის იარაღი? — ელენ კარერ დ'ანკოსი

.9 მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს საკითხები — ივანე ჯავახიშვილი

.13 სომხების შურისძიება — გრიგოლ წერეთელი

.15 ავღანელთა წინააღმდეგობა არ ცხრება — მამულს განშორებული

.17 საბჭოები იყენებენ ბაქტერიოლოგიურ იარაღს? — გ. ლუბაშვილი

.19 ირანი და ამერიკელი მძევლები — გ. ჭალელი

.20 ტიტოს გარდაცვალება — გიორგი წერეთელი

.22 ქართველები ირანში ; ფერეიდნიდან წიგნი მოვიდა — რევაზ მიქელაძე
(გაზ. კომუნისტიდან გადმობეჭდილი) — როდამ ჩაჩანიძე

.23 ზოგიერთი შენიშვნები — აღექსანდრე სულხანიშვილი

.24 სამგლოვიარო განცხადებები

.25 სამშობლოს ქრონიკები

.26 თურქეთის ქართველები; შემოწირულებები;

RESPONSABLE: GEORGES TSERETELI. 8,RUE DES MARCHAIS. 75019 PARIS. TEL: 607.08.14

Edition hors commerce

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოცდაექვსი მაისი

(ბატონ **თამაზ ნასყიდაშვილის** მიერ ფრანგულად წარმოთქმული სიტყვა, პირველ-ად-ის 1980 წელს, სოფ. ღევილში გამართულ საქართველოს დამოუკიდებლობის, 26 მაისის, აღსანიშნავ დღესასწაულზე, ქართულ ენის უცოდინარ დამსწრეთათვის.)

საკითხი როდი ეხება ისტორიის გაკვეთილის მიცემას, არამედ სულ უბრალოდ, რათა მოვიგონოთ და ხაზი გავუსვათ იმ ღრმა მნიშვნელობას, რომელსაც ჩვენ დღეს ვზეიმობთ: 26 მაისს.

რუსული კოლონიალიზმის 117 წლის მპყრობელობის შემდეგ, საქართველომ აღიდგინა თავისი სახელმწიფოებრივი თვითხელმწიფება. რა პირობებში? მოვიგონოთ როგორია ეს 1917 – 18 წლები. ესაა დიდი ომის ხანა. ისტორიის ერთი ყველაზე უფრო დრამატიული პერიოდი, ხანა უდიდესი ძვრების, რომლებსაც ადგილი აქვს მსოფლიოს ამ მხარეში. ძნელი არ არის წარმოიდგინოთ მისი გავლენა კავკასიაზე, რომელიც იწყებს დამოუკიდებლად მოწყობას(რადგანაც საქართველო მარტვა არ არის. აქ არიან ჩრდილოკავკასიის ხალხები, სომხეთი და აზერბაიჯანი). რა მდგომარეობაა საზღვრებზე? ერთი მხრით, თურქეთი, მუდმივი მტერი, თავისი ჯარებით აწვება. მეორე მხრით, ნახევარმილიონიანი კავკასიის ფრონტის რუსის ჯარი, რომელმაც დისციპლინის ყოველგვარი ნასახი დაჰკარგა, სტოვებს პოზიციებს, მიეშურება რუსეთში და გზაში ძარცვავს და ანადგურებს ყველაფერს. ამ არმიის ბანდები, ბოლშევიკების დემაგოგიური პროპაგანდით გახელებულები, დიდ საფრთხეს უქმნიან საქართველოს. ასევე მრავალრიცხოვანი სხვა რუსის ჯარები, კარგად შეიარაღებული და დაბანაკებული საქ. საზღვრებში, იგივე ბოლშევიკების ზემოქმედებით, საშიშნი ხდებიან და შიგნიდან ემუქრებიან ქვეყნის წესრიგსა და უშიშროებას. მასპინძლობით ცნობილმა საქართველომ ფართოდ გაუღო კარებები ყველას ვინც კი გამორბოდა ბოლშევიკურ რუსეთიდან, მათ შორის, ბუნებრივია, ბევრი იყო ბოლშევიკების აგენტი და პროვოკატორი. ესენიც ყველაფერს სჩადიოდნენ, რომ სიძნელეები შეექმნათ ქვეყნისათვის.

რუს გენერალ დენიკინის „თეთრები“ იმის მაგვრად, რომ წასულიყვნენ და შებრძოლებოდნენ უბედურებას, რომელიც მათ ქვეყანას ძირფესვიანად ანადგურებდა, პირველ რიგში საქართველოს და კავკასიას ემუქრებოდნენ ხელახლად დასაპყრობად.

თურქეთი, მუდამ ის, ომს აწარმოებს საქართველოსთან იმ ტერიტორიების დასაუფლებად, რომლებიც ლენინმა და ტროცკმა, ბრესტ-ლიტოვსკში, დაუთმეს ოსმალეთს.

აი, ასეთ პირობებში საქართველოს ეროვნულმა საბჭომ, მთელი ერის მხარდაჭერით, შეძლო სიძნელეთა დაძლევა და წინ წაუძღვა ქვეყანას: 1918 წლის 26 მაისს გამოცხადდა საქ. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, რომელმაც მიიღო დემოკრატიული რესპუბლიკის სახე.

უფრო ადრე საქ. სამღვდელოებამ და მორწმუნეებმა გამოაცხადეს ეროვნული ეკლესიის აღდგენა და აირჩიეს მისი წინამძღოლი – კათალიკოს-პატრიარქი. ამ აქტით ქართულმა ეკლესიამ კვლავ დაიბრუნა თავისი ადგილი, რომელსაც სამოციქულო ეკლესიის საწყისები აქვს.

ეროვნულმა დამფუძნებელმა კრებამ საქართველოს შეუქმნა კონსტიტუცია, შთაგონებული ყველაზე მოწინავე დემოკრატიული პრინციპებით, რომელიც ამავე დროს ეხმატკბილება ქარ. ერის ისტორიულ ტრადიციებს. ყველაფერი მოხდა ფართო სახალხო სულისკვეთებით, ყველამ მიიტანა თავისი ქვა საერთო შენობის ასაგებად. თავად-აზნაურობამ და მეპატრონეებმა ახლად შექმნილ სახელმწიფოს გადასცეს თავიანთი უძრავი ქონება. ბურჟუაზია, მხედრები, გლეხები, მუშები, მასწავლებლები, სტუდენტები, ინტელიგენცია, ერთად ყველა აღფრთოვანებით მონაწილეობს ამ მშენებლობაში.

ეს გახლავთ ოცდაექვსი მაისი! ამას ვდღესასწაულობთ ჩვენ დღეს. ესაა ხელახლად მოპოებული დამოუკიდებლობა.

ეს დამოუკიდებლობა უნდა აცოცხლო... უნდა დაიცვა. ამისათვის საჭიროა ბრძოლა, რადგანაც, მიუხედავად ხელშეკრულებებისა, მიუხედავათ შეთანხმებებისა და მიუხედავათ ცივილიზებულ ერთა სიმპატიებისა, საქართველოს მტრები არ ცხრებიან.

საჭირო გახდა უკუგდება თურქების, რასაც წარმატებით ანხორციელებს ქართული მხედრობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცბიერი, ვერაგი და ფიცისგამტეხი ბოლშევიკური რუსეთი ლაჩრულად თავს ესხმის ჩვენს ქვეყანას. ახალგაზრდა ქართ. არმია, მცირერიცხოვანი და ცუდად შეიარაღებული, მრავალჯერ უკუაგდებს მტერს, მაგრამ თავდამსხმელთა დიდი რიცხობრივი უპირატესობის გამო იძულებულია წინააღმდეგობა შეწყვიტოს. ჩვენი ქვეყანა დაპყრობილ იქმნა, ხოლო ეროვნული მთავრობა იძულებული გახდა გადმოხვეწილიყო საფრანგეთში. ამ უკანასკნელს დავალებული ჰქონდა ეროვნულ საკრებულოსაგან თავისუფალ კაცობრიობის წინაშე დაეცვა ქართველი ერის წმინდათაწმიდა უფლებები..

ეს ჩვენც ნებას გვაძლევს ვიდღესასწაულოთ *26* მაისი და მოვიგონოთ თავისუფალ საქართველოს დიდი წინამძღოლები. ჩემთვის განსაკუთრებით ამაღელვებელია, რომ მიხდება აქ, ლევილში, აღვნიშნო ეს, სადაც ჩემი ახალგაზრდობის ადრეულ წლებში ბედნიერება და პატივი მქონდა ახლო ურთიერთობა მქონებოდა იმ დიდი ეპოპეას მონაწილეებთან და მოწმეებთან.

წითლებმა დაიპყრეს საქართველო და დაიწყო ჯოჯოხეთური ციკლი შევიწროებების, აჯანყებების და რეპრესიების:

– *1922* წლის სვანეთის აჯანყება. იმავე წელში კახეთის და ხევსურეთის აჯანყება.
– *1923* წელს ქართველ მხედრების შეთქმულება.
– *1924* წელს დიდი საყოველთაო ეროვნული აჯანყება.
– აჭარის აჯანყება *1928*-ში, აჯანყებები: *1931*, *1933*, და *1936* წლებში ...

თუმცა გამარჯვებას არ დაუგვირგვინებია ეს ბრძოლები, მაგრამ მისთვის არც არავის უღალატია და ამიტომაც ჩვენ ვეთაყვანებით ჩვენს ერს – ხალხს ძველს, მდიდარი და გმირული წარსულის მქონეს, რომელსაც არასოდეს ჰქონებია ცუდი განზრახვა არცერთი სხვა ხალხის მიმართ. სხვა რომელი ერი გაუძლებდა იმ განსაცდელს, რაც მას გადახდა: ღალატი, გაძარცვა, ამოხოცვა, დასჯა, დანგრევა, გადასახლება... საქართველო კი მაინც გადარჩა! კიდევ მეტი, ის არამც თუ გადარჩა, არამედ კიდევაც შეინარჩუნა თავისი ძალა და დღეს ის ერთერთი ძალაა სხვა ერთა შორის.

საქართველოს დღევანდელი მტრები ფიქრობენ, რომ მათ განსაზღვრეს ყველა პირობები თანამედროვე ომებისა და, რომ ყველა ჯიბრი ერთა შორის მათ თავიანთ სასარგებლოდ გადაწყვიტეს მათი ედეოლოგიის წყალობით. ეს ხანა მათია, ასე ფიქრობენ ისინი, ხანა, რომლის დროსაც ძველი ხალხების თვისებათა ყავლი გასულია. ისინი აწარმოებენ ომებს და წინ მიიწევენ თავიანთი მეთოდების მიხედვით, ჩვენ კი უნდა გავუძლოთ რაც შეიძლება დიდხანს. გაძლება როდია უნაყოფო. ცნობილია–რაც იმედის მომცემია– რომ ძველი რწმენა, ძველებური სინდისი და ძველებური სულისკვეთება მტკიცედაა კიდევ შენახული საქართველოში.

ქართველმა ხალხმა გმირულად გაუძლო და გადაურჩა ურიცხვ დაპყრობებს და ბატონობას სკვითებისას, ხაზარებისას, ზოროასტრულ სპარსებისას და შემდეგ ისლამურ სპარსებისას, ფანატიური არაბებისას, კერპთაყვანისმცემელ მონგოლებისას და შემდეგ მუსულმან მონგოლებისას, ოსმაღლებისას და რუსებისას. ეს ყველაფერი *26* მაისია! *26* მაისი სიმბოლოა ძალმომრეობის მიმართ ურჩობისა. ყველაზე დიდ დამარცხებების დროსაც ქართველებს გული არ გატეხიათ და ბრძოლა – ამა თუ იმ ფორმით – არასოდეს შეუწყვეტიათ და ისინი, ღვთის შეწევნით, უდავოდ მიაღწევენ ბედნიერებას და ღირსებას.

ამ კეთილშობილ ბრძოლაში ყველას აქვს თავისი ადგილი, როგორც ემიგრანტების შვილებს ისე ემიგრანტების შვილიშვილებს და იქნებ კიდევაც ეს იყოს ჩვენი სიცოცხლის დედააზრი: ემიგრაცია დამცველია ქართველობის უმთავრესი ღირებულებების. ეს როდი ნიშნავს პატრიოტიზმის გაკვეთილი მივცეთ ვინმეს, მაგრამ სამაგიეროდ ძალიან ცოტას შეუ*ძლია, რომ ის ჩვენ გვასწავლოს. თუ დღეს-დღეობით ჩვენ გაგვაჩნია ღრმა და მუდმივი* პატრიოტიზმი, ამას ჩვენ ემიგრაციას უნდა ვუმადლოდეთ. ეს უცნობი არაა არც მტრების, არც მოყვრებისათვის. ამიტომაც ყოველწლიურად *26* მაისის დღესასწაული ასე მნიშვნელოვანი, ასე კაპიტალური და ასე სასიცოცხლოა. ჩვენ გვაკისრია ეს წმინდა მოვალეობა, რადგან ესაა ჩვენი მოწმობა და მანამ სანამ ადგილი ექნება ერთ დასწრებასაც კი, ეს დასწრება სამშობლოში მიღებული იქნება როგორც იმედის მაუწყებელი.

თამაზ ნასყიდაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამოუკიდებლობის დღესასწაული საფრანგეთში

ჩვენი დამოუკიდებლობის დღეს 26 მაისს, საღამოს ექვს საათზე, ცოცხალი ვარდების გვირგვინი იქნა მიტანილი საფრანგეთის უცნობ ჯარისკაცის საფლავზე, იქ მუდმივი წმინდა ცეცხლის აღი იქმნა გაღვივებული და 15 წუთის განმავლობაში ქართული სამფეროვანი დროშაც ფრიალებდა ეტუალის თაღებს ქვეშ.

იმავე საღამოს, 7 საათიდან და 30 წუთიდან, პარიზის წმინდა ნინოს საყდარში, მოძღვარმა ილია მელიამ წირა სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში დაღუპულთა სადიდებლად.

კვირას, 1 ივნისს, სოფ. ლევილში იქნა გადახდილი 26 მაისობის დღესასწაული. თერთმეტ საათიდან თორმეტამდის მოძღვარმა ილიამ წირა ქართულ მამულის საღონში. შემდეგ ეზოში გაიმართა მიტინგი, რომლის დროსაც დამსწრე საზოგადოებას სიტყვებით მიმართეს თავმჯდომარე ვიქტორ ხომერიკმა და თამაზ ნასყიდაშვილმა ფრაგულად, რომლის თარგმანსაც აქვე ვბეჭდავთ.

პოლიტიკური განყოფილების დამთავრების შემდეგ საღონში და მის წინ მდებარე ეზოში გაიმართა სერობა, რომლის დროსაც სიტყვები წარმოთქვეს ოთარ ხურაბიშვილმა, პიერ ბულემ, ვანო ციციშვილმა, რადზლავ დე კინსკიმ და გივი ზალდასტანიშვილმა, რომელიც ამერიკიდან სტუმრად გვეწვია თავისი ქალაქით.

ორატორების სიტყვები უმთავრესად ეხებოდნენ ლევილის სასაფლაოზე მეორე მსოფლიო ომში დაღუპულ ქართველებისათვის აგებულ ძეგლის ირგვლივ აღძრულ კამათს. ამ ძეგლმა საბაბი მისცა სოფლის მერიას, სხვა ღონისძიებათა შორის, ქართველებისათვის აეკრძალა ამ დღეს სასაფლაოზე თავისმყრა. ოთარ ხურაბიშვილმა პროტესტი განაცხადა ასეთი აკრძალვის გამო, რომლის გამოსკლას ზოგი მტრულად შეხვდა, ზოგმა მოიწონა და ზოგიც ცდილობდა უკიდურეს პოზიციების შეთანხმებას.

საკუთრივ ძეგლის განხილვას აქ არ შევუდგებით. აქ არც ამის ადგილია და არც ობიექტიური მსჯელობა შეგვიძლია რადგანაც ძეგლი ჩვენი თვალით არ გვინახავს და არ შეგვიმოწმებია მის ირგვლივ აღძრული მოსაზრებები, ჩვენ მხოლოდ საჭიროდ მიგვაჩნია ჩვენი უკმაყოფილება გამოვთქვათ იმის გამო, რომ:

1. ძეგლის მიზანშეწონილობის საბაბით სოფ. ლევილის მერიამ თავს ნება მიცა საქართველოს დამოუკიდებლობისს ზეიმის დღეს ქართველებისათვის აეკრძალა სასაფლაოზე თავმოყრა, რომ იქ ჩვენი ეროვნული დამოუკიდებლობის მამებისათვის ჩვენი მადლიერება გამოგვეხატა და მათი ძვირფასი საფლავებისათვის კუთვნილი პატივი მიგვეგო.
2. ჩვენი სათვისტომოს თავმჯდომარემ თავის დროზე სათანადო ღონისძიება არ მიიღო მერიას ამ უკანონო დადგენილების გასაბათილებლად და უკიდურეს შემთხვევაში პროტესტი არ განაცხადა სადაც საჭირო იყო.

აქვე უნდა დავძინოთ, რომ დამოუკიდებლობის ზეიმის ლევილში მოწყობა, როგორც ეს წელს მოხდა პირველად, სასურველად არ მიგვაჩნია. ეს დღე მხოლოდ ემიგრაციის შინაურ თავშეყრის დღედ არ უნდა გადავაქციოთ. როგორც წარსულში, უნდა ვეცადოთ მასში წილი დავადებინოთ ჩვენს უცხოელ საპატიო მეგობრებსაც და ჩვენს ბედში მყოფ ერთა დევნილ შვილების წარმომადგენლებს. ამას კი შეუძლებელს ხდის ლევილის პირობები. სალონი პატარაა, გარედ ამინდს არ შეიძლება ენდო და სხვა უხერხულობანი.

„თ.ტ."

--- --- --- --

არჩევნები პარიზის სათვისტომოში

წესდების თანახმად ყოველ ორ წელიწადში პარიზის ქართულ სათვისტომოში ტარდება მისი გამგეობის არჩევნები. წელს ამ მიზნით საერთო კრება გაიმართა კვირას ოთხ მაისს. ჩვენი აზრით არჩევნები უნდა ხდებოდეს მარტში, ან უგვიანეს აპრილში, რომ ახლად არჩეულ გამგეობას საკმარისი დრო ჰქონდეს 26 მაისის დღესასწაულის ჩასატარებლად.

კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ბ. თამაზ ნასყიდაშვილი, მდივნებად ბბ. ოთ. ხურაბიშვილი და დანიელ სიბაშვილი. კრებამ მოისმინა საანგარიშო მოხსენებები თავმჯდომა-

რე ვ. ხომერიკის, მოღარე ოთ. პატარიძის და სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე დ. კლდიაშვილის. ამ უკანასკნელის წინადადებით კრებამ მოღარე ოთარ პატარიძეს კარგი მეურნეობისათვის მადლობა გამოუცხადა და ოვაცია გაუმართა.

მოხსენებების ირგვლივ კამათი არ გამართულა. კრებას გავლილი მუშაობა არ შეუფასებია და უშუალოდ შეუდგა ახალი თავმჯდომარისა და გამგეობის წევრების არჩევნებს. თავმჯდომარეობის კანდიდატებად იყვნენ ყოფილი თავმჯდომარე ბ. ვ. ხომერიკი და ყოფილი თავმჯდომარის მოადგილე ბ. ტარიელ ზურაბიშვილი. გამგეობის წევრობის კანდიდატებად იყო ათი, აქედან ექვსი უნდა არჩეულიყო ნამდვილ წევრად, ორიც წევრობის კანდიდატად. არჩევნები ჩატარდა ფარული კენჭისყრით. კრებას ესწრებოდა *126* კაცი. ამათ გარდა არჩევნებში მონაწილეობა მიიღო *348*-მ მინდობილობით. მოღარის თქმით საწევრო გადასახადს სულ ასი კაციც კი არ იხდის. არჩევნებში სწორედ ისინი უნდა მონაწილეობდნენ, რომლებიც საწევრო გადასახადს რეგულიარულად იხდიან და არა „მკვდარი სულები". ეს ამბავი მომავლისთვის უნდა გამოსწორდეს.

248 ხმით თავმჯდომარედ ხელახლად არჩეულ იქმნა ბ. ვიქტორ ხომერიკი, ბ. ტ. ზურაბიშვილს ხმა მისცა *218*-მა ამომრჩეველმა.

კრების მიერ არჩეულ გამგეობის წევრებიდან დაუყოვნებლივ გადადგნენ: ოთარ პატარიძე, გულნარა პატარიძე –ურატაძისა, ეთერი წერეთელი და ოთარ ამილახვარი. მათ განაცხადეს, რომ არ სურდათ ემუშავნათ ბ. ვ. ხომერიკის თავმჯდომარეობით. ამ ინციდენტიდან შემდეგი გაკვეთილი უნდა გამოვიტანოთ: თავმჯდომარეობის თვითოეულ კანდიდატს მისი გამგეობის წევრების კანდიდატთა სია უნდა ჰქონდეს და საერთო კრებამ ამ სიებს უნდა მისცეს ხმა.

საბოლოოდ ახალი გამგეობის წევრებად შერჩეული იქმნა: ქალბატონები ანიკ ხომერიკი-დავრიშაშვილისა და ირენ გედევანიშვილი-ავარისა, ბატონები გია სარჯველაძე, მიხეილ ვოდე-გოგიტიძე, ვანო ციციშვილი და ნიკო ჭავჭავაძე.

დემოკრატიაში ნორმალურია აზრთა სხვადასხვაობა, იდეათა და პიროვნებათა შორის უსისხლო ბრძოლა, მაგრამ უმრავლესობის ხმა, ერთიც რომ იყოს ზედმეტი, ბატონობს და უმცირესობა ლოიალურად თანამშრომლობს. ამ წესს არც ჩვენ არ უნდა გადავუხვიოთ, თუნდაც იმისთვის, რომ ეს ჩვენ დღეს აუცილებლად გვესაჭიროება. ყველამ ხელი უნდა შეუწყოთ გამგეობას სასარგებლო ქართულ საქმის კეთებაში.

როგორც გამგეობის წევრები ისე თავმჯდომარე უსასყიდლოდ მუშაობენ, მათ მხოლოდ ქართული საქმის სიყვარული ამოძრავებთ, მათ ხომ პირადი საქმეებიც არ აკლიათ, ამიტომ რაც არ უნდა მცირე რამ არ გააკეთონ, ჩვენ მაინც მათი მადლიერი უნდა ვიყოთ. ამასთანავე იმავე ქართულ საქმის სიყვარული გვიკარნახებს მათ მოვთხოვოთ ბევრი და კარგი ქართული საქმის ინიციატორობა. განსაკუთრებით გვესაჭიროება ქართული სკოლის დაარსება, ქართული ცეკვების და სიმღერების წრეების აღდგენა, ახალგაზრდობის ხშირი თავშეყრა, იქნება ეს ქართულ ცივილიზაციის შესწავლის თუ უბრალოდ გართობის მიზნით. ყველაფერი ეს აუცილებლად საჭიროა ჩვენი ახალგაზრდობის ქართული სულით აღზრდისათვის და სათვისტომოს გამგეობის მთავარი მისია სწორედ ჩვენი ქართული საზოგადოების ქართველობის დაცვა და შენახვაა.

„თ.ტ."

--- --- --- --- ---

ვენეციის კონფერენციის განსაკუთრებული განცხადება ავღანისტანზე

22 ივნისში, ქ. ვენეციაში გაიმართა *7* ყველაზე ინდუსტრიულ ქვეყნის– ამერიკის შ. შ., კანადა, იაპონია, საფრანგეთი, ინგლისი, გერმანია, იტალია– კონფერენცია უმაღლეს დონეზე. დღის წესრიგში იდგა საკითხები: ენერგია, საერთაშორისო ვაჭრობა, ჩრდილოეთ-სამხრეთის დიალოგი, საერთაშორისო პირატობა, ავღანისტანი და სხვა.

კონფერენციამ განსაკუთრებული დეკლარაცია მიიღო ავღანისტანის შესახებ, რომელშიც ნათქვამია: „ჩვენ გვსურს კიდევ განვაცხადოთ, რომ საბჭოების მიერ ავღანისტანის სამხედრო დაპყრობა მიუღებელია და ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს არ მივიღოთ არც ამჟამად და არც მომავალში. ის შეუთავსებელია ავღანელი ხალხის დამოუკიდებლობის ნე-

(გაგრძელება იხილეთ *14* გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირის მაერთიანებელ ძალები:

პოლიტიკური და სამხედრო ხელისუფლება

ჯარი: ინტეგრაციის იარაღი?

საბჭოთა კავშირის ავტორები, როცა დღეს აანალიზებენ საბჭოთა ერის ჩამოყალიბების პროცესს, ხაზს უსვამენ არმიის გადამწყვეტ როლს ამ ახალ ისტორიულ ერთეულის შექმნაში. საბჭოთა არმიის ეს როლი სრულიად უგულვებელყოფილია დასავლეთში, სადაც საბჭოთა არმია წარმოდგენილია მუდამ, როგორც ს.ს.რ. კავშირის საერთაშორისო სიმძლავრის იარაღი, რომელიც განკუთვნილია გარე სამყაროსთვის. აქედან გამომდინარეობს საბჭოთა არმიის როლის ნაწილობრივი გაუგებრობა; კერძოდ, ამ არმიის დანიშნულებაზე, მის პრობლემებზე და მის ორჭოფობაზე. საბჭოთა არმია მართლაც არის ის მონოლითი, რომელსაც დასავლეთი ხედავს მის საზღვრებზე განლაგებულს? წარმოადგენს ის მხოლოდ საგარეო საფრთხეს? მისი ასე წარმოდგენა ნიშნავს, კიდევ ერთხელ დაივიწყო, რომ საბჭოთა არმია ისევე, როგორც სსრკ მთლიანად, მრავალეროვანია და, რომ მისი ერთერთი მოვალეობაა ხელი შეუწყოს ამ ერთა ინტეგრაციას (გაერთიანებას). არმიის ეს დანიშნულება რომ გავიგოთ და აქედან გამომდინარე შედეგები, ამისათვის საჭიროა თვალი გადავავლოთ წარსულს.

რუსეთის ცარისტული იმპერია ცდილობდა შეექმნა ერთი მწყობრი არმია. ამიტომ გარკვეული რიცხვი მისი ქვეშევრდომების გამორიცხული იყო არმიიდან. მათ უწოდებდნენ ალოჟენებს. ამათში შედიოდნენ **45** ეროვნული ჯგუფი და მათ შორის პირველ რიგში მუსულმანები.

ომმა და რევოლუციამ დასვეს ეროვნული არმიების შექმნის საკითხი. ***1917–18*** წლებში ჩნდებიან ეროვნული არმიები. ახალგაზრდა ეროვნული სახელმწიფოები, რომლებიც იმ დროს იქმნებიან ცდილობენ თავი დაიცვან ნაჩქარევად შექმნილ ეროვნულ არმიებით. თავის მხრთ, ოქტომბრის რევოლუციით შობილი ხელისუფლება ცდილობს თავის სამსახურში ჩააბას ეროვნული ენერგიები და ყველგან სადაც ბოლშევიკების კონტროლი მყარდება, ლენინი და ტროცკი უკვე შექმნილ ეროვნულ არმიებს აქცევენ მათ მიერ ახლად შექმნილ წითელ არმიის კონტროლის ქვეშ. ***1920*** წლამდე ეს კონტროლი აწყდება დიდ სიძნელეებს. საშოქალაქო ომი და ინტერვენცია აიძულებს გამოიჩინოს დიდი სიფრთხილე. სუსტს და იზოლაციაში მყოფ ბოლშევიკებს არ შეუძლიათ მტრების ბანაკში გადააგდონ ერები, რომლებისთვისაც დამოუკიდებლობას უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს ვიდრე რევოლუციას, მათი მხარდაჭერის მოსაპოვებლად საჭიროა დათმობა, რომ შექმნან ეროვნული არმიები, რომლებიც კიდევ უფრო გააძლიერებენ დამოუკიდებლობის ნებისყოფას. სულ მაღე თავს იჩენს ასეთი დათმობის სიძნელეები.

ეროვნული არმიები იარაღდებიან კავკასიაში და უკრაინაში. მუსულმანები, წინად მოწყვეტილ სამხედრო ცხოვრებას, მიდიან ძალიან შორს და რაც მთავარია ამისთვის იყენებენ საბჭოთა ხელისუფლების წყობილებას. რუსეთის ეროვნებათა კომისარიატის წიაღში, რომელსაც სტალინი ხელმძღვანელობს, იქმნება ***1918*** წლის დასაწყისში, მუსულმანთა კომისარიატი. მისი თავმჯდომარე, თათარი მიულაჰ ნიურ ვაჰიტოვი ხელმძღვანელობს მუსულმანურ სამხედრო კოლეგიას, რომელიც ფეხზე აყენებს მუსულმანურ წითელ არმიას. პრინციპში ის ექვემდებარება ომის სახალხო კომისარიატს, მ.შ. ტროცკს. სინამდვილეში ორი პირი, რომელიც ამ ოპერაციას ხელმძღვანელობს, თათარი ვაჰიტოვი და სულტან გულიევი სულ სხვა მიზნებს ისახავენ ვიდრე ბოლშევიკები. ისინი ფიქრობენ – და აქ ვხედავთ იმას, რაც შემდეგ წამოიჭრება მაო-ცე-ტუნგის წინაშე – რომ განუვითარებელი ქვეყნებისთვის, რომლებსაც პროლეტარიატი არ ჰყავთ, არმიამ უნდა იკისროს ერის დარაზმვა.

მძლავრი არმია, იერარქიული და პოლიტიკური, რომელიც ეროვნული ნებისყოფის განსახიერება იქნება, ქვეყანას აღუზრდის და მოუმზადებს სახელმწიფო კადრებსაც. ამრიგად, განვითარებადი ქვეყნების არმიების როლი განსაზღვრული იყო უკვე ***1920*** წელში რუსეთის მუსულმანების მიერ. თუ ცდა ერთიანი მუსულმანური არმიის შექმნისა ჩაიშალა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადგანაც რუსეთის წითელმა არმიამ შეძლო მისი დამორჩილება, სამაგიეროდ ეროვნული არმიები ჩამოყალიბდნენ თვითეულ ეროვნების წიაღში.

1919 წლიდან ლენინმა, რომელსაც ესმოდა ასეთი მდგომარეობის საფრთხე, ცადა მისი გამოსწორება. პარტიის დადგენილებები აცხადებენ, რომ მთელი სამხედრო აქტივობა უნდა ემორჩილებოდეს ერთ წითელ არმიას, და საბჭოთა ხელისუფლების გადასვლა ფედერაციულ სახელმწიფოზე *1920 – 22* წლებში მოხდა სწორედ ეროვნული არმიების დაქვემდებარების შედეგად წითელ არმიისადმი. ეს დაქვემდებარება საბაბი გახდა დრამატიული კრიზისისა *1923* წელში. ეს კრიზისი სხვადასხვაგვარად განვითარდა სხვადასხვა კუთხეში, მაგრამ მას ადგილი ჰქონდა მთელ საბჭოთა კავშირში. ცენტრალურ აზიაში მან მიიღო აშკარა შეიარაღებული აჯანყების ხასიათი, რომლის ჩაქრობასაც ხელისუფლება წლების განმავლობაში მოუნდა. შეიარაღებულ პარტიზანთა ბანდები, სახელოვანი ფეხშიშველები ანუ ბასმაჩები დიდხანს წარმოადგენდნენ საშიშროებას და ანხორციელებდნენ თავიანთ თანამემამულეების წინააღმდეგობას საბჭოთა ხელისუფლების მიმართ.

უკრაინელი ლიდერები, რომლებიც უკეთ იყვნენ ჩაბმული საბჭოთა სისტემაში, კომპარტიის მეთორმეტე ყრილობაზე ბრალს დებენ (აპრილი *1923* წელი) წითელ არმიას ძალადობაში. ნიკოლაი სკრიპნიკი, უმწიკვლო ბოლშევიკის წარსულის მქონე, აცხადებს: „ დღეს არმია იარაღია უკრაინის რუსიფიკაციის, ყველა არარუსებისათვის“. სკრიპნიკის შემდეგ მეორე უკრაინელი უმატებს: „ არ დაგვავიწყდეს, რომ წითელი არმია არა მხოლოდ გლეხობის პროლეტარული გათვითცნობიერების იარაღია, არამედ აგრეთვე გარუსებისაც. წესიერია ეს? რა თქმა უნდა არა! პროლეტარიატს რაში ჭირდება ეს? არავინ ამაზე არაფერი იცის. ესაა ველიკორუსული მეთაურობის შედეგი. ჩვენი უმაღლესი სარდლობა უმეტეს შემთხვევაში რუსებია. თუნდაც უკრაინელი გლეხები ტუღაში გაიგზავნონ რუს მეთაურების ხელში, მაინც მათ უნდა შეეძლოთ გათვითცნობიერდნენ თავიანთ მშობლიურ ენაზე. აი მეორე საკითხი სამხედრო კადრების ფორმაციისა, რომლებიც ეროვნების ენაზე ილაპარაკებენ“. სკრიპნიკმა და მისმა კოლეგამ ასე ცხადად დააყენეს არმიის საჭირბოროტო საკითხები. საბჭოთა ხელისუფლება არმიას იყენებს არარუსების გასარუსებლად და გასაკონტროლებლად, არმია მთლიანად რუსების ხელქვეითაა. სინამდვილეში ის არავითარ გათვითცნობიერების როლს არ ასრულებს ერთა თანასწორობის პერსპექტივაში.

ამ კრიზისს საბჭოთა ხელისუფლება ორგვარად პასუხობს : ის ცდილობს დააშოშმინოს ერები, მაგრამ არ დაუშვას ეროვნული არმიების განვითარება. ლენინი იმ დროს ავადაა და საბოლოოდ ჩამოშორებულია პოლიტიკურ საქმიანობას, მაგრამ შეიძლება დანამდვილებით ვთქვათ, რომ მისი კოლეგების რეაქცია უპასუხებს მის აზრებს ამ დარგში. ეს აზრები მდგომარეობდა ეროვნულ არმიების უარყოფაში და ამავე დროს, შესაძლებლობაში ყველა ეროვნების წარმომადგენელმა ადგილი დაიკავოს და პასუხისმგებელი იყოს წითელ არმიის რიგებში.

ეროვნული არმიების დაგმობიდან გამომდინარეობს მუსულმანურ არმიების დაშლა და უკვე *1923* წლიდან მისი თეორეტიკოსის სულტან გალიევის დასჯა. კომუნისტური პარტიის დრამატულ კონფერენციაზე, რომელიც გაიმართა მოსკოვში *1923* წლის *9 – 12* ივნისში, სტალინმა, გალიევის წინააღმდეგ გალაშქრებისას, ჩამოაყალიბა ეროვნული პოლიტიკის გენერალური ხაზი და მისი მიჯნები. ეს პოლიტიკა სამხედრო დარგში დაფუძნებულია ეროვნულ კადრების შექმნაზე, რომლებიც შეიძლებენ ეროვნული არმიების მეთაურობას წითელი არმიის შიგნით ; წითელი არმია მთელი საბჭოთა კავშირისაა და მას ერთი საერთო სარდლობა ჰყავს. ეს პოლიტიკა ჩაიწერა ხუთწლიან სამხედრო გეგმაში და მისი გატარება დაიწყო *1924* წლიდან. ფრუნზე, რომელმაც ტროცკი შეცვალა როგორც სამხედრო კომისარი, ასე განმარტავს ამ გეგმას: „ ჩვენ ვქმნით ჩვენს არმიას ისე, რომ არცერთმა ერმა თავი არ უნდა იგრძნოს დაჩაგრულად ან განცალკავებულად, ამავე დროს, საჭიროა არმია იყოს ერთი და მძლავრი სხეული“.

ამ ღონისძიებამ ოციან წლების ბოლოს გამოიწვია ღრმა ცვლილებები მოსახლეობის არმიისადმი დამოკიდებულებაში. სამხედრო სამსახური ვრცელდება მთელი მოსახლეობის მამაკაცებზე, რომელთა გაწვრთნას ადვილად ასრულებს ეროვნული მეთაურობა, მაგრამ ეროვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებების ოფიცრების მასიური პრომოცია და ეთნიურად წმინდა შენაერთების გაბატონება ძირითადათ არ ცვლის არმიის მთავარსარდლობის ფერს წარსულთან შედარებით. ე.ი. ის მაინც რჩება წმინდა რუსული, და ეროვნული განსხვავებულობა მხოლოდ ტარდება დაბალ და საშუალო საფეხურებზე. ასეთი მცირე დათმობაც მაღე გამოცხადდა როგორც ჩამორჩენილობა. *1938* წლის *7* მარტის ახალი კანონი რადიკალურად ცვლის არმიის ფიზიონომიას და საზღვარს უდებს ე.წ. ეროვნულ „ლიბერალიზმს", რომელიც წითელ არმიაში გაბატონებული იყო *1924* წლიდან. ყველა მამრობითი საბჭოთა მოქალაქე, ეროვნების ან კულტურის მიუხედავად, ვალდებულია სამხედრო სამსახურის. არმია ერთიანდება, ეროვნული შენაერთები გაუქმდნენ ეთნიურად შერეულ ნაწილების სასარგებლოდ. სამხედრო სამსახური, განაწესის მიხედვით უნდა შესრულდეს მრავალეროვან გარემოში. სამხედრო სკოლები, კადრების ფორმაცია, ყველაფერი სამხედრო დარგში, ტარდება ეროვნული პრინციპის გარეშე. ეს ნიშნავს: ერთი და იგივე ეთნიური წარმოშობის პირთა დაშლა–გაფანტვასთან ერთად, წითელი არმიის ენა ისევე, როგორც მთელი ს.ს.რ. კავშირის ენა ხელახლად ხდება რუსული ენა.

1938 წლის შემდეგ წითელი არმიის ორგანიზაციის წესი მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის დროს განიცდის ცვლილებას; სტალინი დროებით უბრუნდება ეროვნულ არმიების პრინციპს, რომელთა შენახვა გადადის რესპუბლიკების ხელში. მაგრამ კაზაკების ან აზერბაიჯანელების დივიზიების ერა სულ მაღე ადგილს უთმობს ძველებურ შერეულ დივიზიებს, და ეს მიუხედავათ *1944* წლის *1* თებერვლის უმაღლესი საბჭოს კანონისა, რომელიც აცხადებს რესპუბლიკურ არმიების შექმნას. ამ კანონის გამოძახილს წარმოადგენდა საბჭოთა კონსტიტუციაც *1977* წლამდე, რომლის მიხედვითაც წითელი არმია წარმოდგენილი იყო, როგორც ეროვნულ რესპუბლიკების არმიების ერთობა. ამ კანონის საშუალებით სტალინმა მიაღწია ორი დამატებითი ადგილი მიეღო უკრაინისა და ბელორუსიისათვის გაერთიანებულ ერთა ორგანიზაციაში. სინამდვილეში, ომის დამთავრების შემდეგ წითელი არმიის ორგანიზაცია დაუბრუნდა მის *1938* წლის ორგანიზაციას, ე.ი. ომის დამთავრებისთანავე ეროვნული არმიები გაჰქრნენ. არმია სერიოზული საქმეა, რომ ის ერებს მიანდონ. *1967* წლის *12* ოქტომბრის სამხედრო კანონი აშკარად აწესებს, რომ საყოველთაო სავალდებულო სამხედრო სამსახურის ძირითადი მიზანია შერეულ ერთეულებში გაწვეულთა არევა, სადაც მუდმივად გამოყენებული იქნება მხოლოდ რუსული ენა.

მერყეობის და ცვალებადობის შემდეგ, საბჭოთა არმია საბოლოოდ გადაიქცა ეროვნული ინტეგრაციის მნიშვნელოვან იარაღად. ხანგრძლივი სამხედრო სამსახურის წყალობით (*2* და *3* წელიწადი) არმიელები დიდი ხნის განმავლობაში მოწყვეტილი არიან თავიანთ მშობლიურ გარემოს და იმყოფებიან განსხვავებულ პირობებში, რომელიც თეორიულად მრავალეროვანია, მაგრამ სინამდვილეში ძირითადათ რუსულია. რუსული ენის მუდმივი სარგებლობა, პოლიტიკური პროპაგანდა და ტექნიკური სწავლება მიზნად ისახავს ძირფესვიანად შეცვალოს ახალგაზრდა წითელარმიელთა ეროვნული გრძნობა და მსოფლიოს გაგება.

წითელი არმიის ამ თვისებას ხშირად უსვამენ ხაზს საბჭოთა ლიდერები. საბჭოთა კავშირის შექმნის *50* წლისთავზე, *1972* წელში, ბრეჟნევი ამბობდა: „ჩვენი არმია განსაკუთრებული არმიაა, იმ გაგებით, რომ ის სკოლაა ინტერნაციონალიზმის, ძმური გრძნობების განვითარების, სოლიდარობის და მთელ საბჭოთა კავშირის ერების და ხალხების ურთიერთ პატივისცემისა.

ჩვენი სამხედრო ძალები ერთიანი განსაკუთრებული ოჯახია, ის ცოცხალი განსახიერებაა სოციალისტური ინტერნაციონალიზმისა".

ეს განსაკუთრებული როლი, რომელიც არმიას აკისრია პასუხობს თუ რატომ, ახალ კონსტიტუციაში სავალდებულო სამხედრო სამსახური პირველ თავშივეა განმარტებული (თავი *1* პარაგრაფი *31*) და არა საბჭოთა წყობილების ორგანიზაციის ნაწილში, როგორც ეს მოსალოდნელი იყო.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ელენ კარერ დ'ანკოსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები*

რუსეთის მთავრობისაგან საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობისთანავე რუსი ხელმწიფის წარმომადგენელნი, ერთის მხრივ სომეხ მოხელეთა დაწინაურებით, მეორეს მხრით, რუს ნასაღდათართა დასახლებით, ქართველთა მოსახლეობის ინტერესების შელახვასა და მიწა-წყლის ეთნოგრაფიულად აჭრელებით, ქართველთა მოსაღოდნელი პოლიტიკური მოძრაობისაგან უზრუნველყოფას ცდილობდნენ. სომხები მათ აპოლიტიკურ ხალხად ჰყავდათ მიჩნეული და ამასთანავე თავიანთ ერთგულად თვლიდნენ. უკვე *1828* წლიდან მოყოლებული, როდესაც ქართველი მაჰმადიანებით დასახლებული სამცხე, ჯავახეთი, ერუშეთი და პალაკაციო რუსეთმა ოსმალეთს წაართვა და იქაური მცხოვრებნი ისეთ სულიერ განწყობილებაში ჩააგდო, რომ ქართველმა მაჰმადიანებმა თავიანთი მამა-პაპეული სამოსახლოთგან აყრა და ოსმალეთში გადასახლება ირჩიეს. გრაფმა პასკევიჩმა ქართველებს ღიხთიმერეთიდან იქ გადასახლებინება არ მისცა და მათ მაგიერ ოსმალეთითგან გადმოსახლებულ სომეხთაგან *30.000* მცხოვრები ჩაასახლა. ამ ხელოვნურ საშუალებით მესხეთში, სადაც *1828* წლამდე ქართველთა მოსახლეობა *90%* აღემატებოდა, *1832* წელს უკვე რუს მოხელეთა წყალობით უმრავლესობა სომეხნი იყვნენ.

მეცხრამეტე საუკუნის სამოციან წლებითგან მოყოლებული რუსეთის პოლიტიკური წრეები უკვე ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობდნენ, რომ ამიერკავკასია მოსახლეობითაც რუსულად ქცეულიყო. *1864* წელს მ. კატკოვს რუს ნასაღდათართა დასახლება აღარ აკმაყოფილებდა და იმაზეც ოცნებობდა, რომ რუს მთავრობას ისეთი პირობები შეექმნა ამიერკავკასიაში, მარტო ქალაქები კი არა, სოფლებიც თანდათანობით რუსებით ავსებულიყო. აბა მაშინ რუსული გავლენა იქ როგორ გაიზრდებოდა „კაკ უსილილოს ბი ეტო /რუსკოე/ ვლიანიე ვ სტრანე, ესლი ბი დოპუშჩენი ბილი უსლოვია ნეობხოდიმიე დლა ტოგო, ჩტობ ი სელა პოსტეპენნო მოგლი პოპოლნიატსია რუსსკიმი ლუდმი.“

„მოსკოვსკიე ვედომოსტი.“ *1864*გ.№*168*

ამისთვის ერთერთ ხელშემწყობ საშუალებად მას (კატკოვს) კავკასიაში და კერძოდ შავი ზღვის სანაპიროზე რუს თავადაზნაურთა გადასახლება მიაჩნდა (იქვე).

მაგრამ ამ დროს რუსეთის მთავრობა რუსეთის დასახლებით პოლონეთის გარუსებას ცდილობდა. ამიტომაც რუსი პოლიტიკოსები დარწმუნდნენ, რომ იმდენი ხალხი არ ყავდათ, ყველას გასწვდომოდნენ. ამავე ხანებში სომეხმა მოღვაწემ კანანოვმა საკოლონიზაციოდ შავი ზღვის დასახლებული ოსმალეთითგან ზეითუნის სომხების გადმოსახლების პროექტი წამოაყენა. კატკოვმა ამ მოსაზრებას რუს-კოლონისტების სიმცირის გამო მხარი დაუჭირა და პოლიტიკური და ეკონომიური მიზნებით მიზანშეწონილად აღიარა: სომხები ჩვენი ერთგული მომხრენიც იქნებიან და ვითარცა ვაჭარი ხალხი თან ფულსაც მოგვიტანენო. (იქვე, გვ. *500-502*). ამ აზრს, რომ ამიერკავკასიაში დასასახლებლად სომხები ყოფილიყვნენ გამოყენებულნი ასეთი გავლენიანი რუს შავრაზმელის დასტურის შემდგომ როგორიც კატოვი იყო, მთავრობის ადგილობრივი უმაღლესი წარმომადგენლობა მიემხრო და დასახლებას შეუდგა. სომხებთან ერთად გერმანელებისა და ესტონელების ჩამოსახლებასაც მიჰყვეს ხელი. რუსები ცოტანი ჩანდნენ. ამგვარად ის მოხდა, რომ თავისუფალი მიწების დასახლება რუსულ საკოლონიზატორო საქმეს საშუალებას უსპობდა. ეს უკანასკნელი გარემოება კი რუს პოლიტიკოსებს რასაკვირველია ოდნავადაც არ აწუხებდა. პირველი კი აღონებდა კიდეც და თანაც აბრაზებდა. *1867* წელს იგივე მ. ა. კატკოვი უკვე გაჰკიოდა შავი ზღვის სანაპიროზე ყველას ასახლებენ მცირე აზიიდგანაც, ავსტრიიდგანაც და გერმანიიდანაც. მხოლოდ რუსები არ ჩანან, რადგან იმათაც, ვისაც სურდათ იქ არ უშვებენო. კატკოვი საკოლონიზაციო საკითხს პოლიტიკურ ეროვნულ საკითხად სთვლიდა და რუს მოახალშენეთა გაძლიერებას მოითხოვდა.

სომხების საქართველოში ჩამოსახლების პოლიტიკის სულის ჩამდგმელად და მხურვა-

ღე და მარჯვე განმახორციელებლად აღ. და გ. ხატისოვების მამა ივ. სტეფანის ძე ხატისოვი იყო, რომელიც 1865 წლითგან 1875 წ. სახელმწიფო ქონებათა და სასოფლო მეურნეობის სამმართველოში ამ. კავკასიაში გავლენიან თანამდებობის პირად ითვლებოდა. 1875–83 წლებში კავკასიაში მეფის მოადგილესთან საგანგებო მინდობილობათა მოხელედ იყო, ხოლო 1885-93 წწ. სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს უფროსის თანამდებობა ეკავა. მის დროს და მისი დახმარებით ბევრი სომეხი ჩამოსახლდა საქართველოში ბორჩალოს, ჯავახეთისა და შავი ზღვის სანაპიროს. რაკი შავი ზღვის სანაპირო პოლიტიკურად მნიშვნელოვან ადგილად ითვლებოდა, ეს ადგილიც რომ სომხეთისათვის ყოფილიყო განკუთვნილი, მან წამოაყენა აქ ორი მოსაზრება: რაკი ეს ქვეყანა უმაღლეს სამეურნეო კულტურის კერად უნდა იქცეს, აქ დასახლების უფლება ამგვარი კულტურის მცოდნეს უნდა მიეცეს, რუსები სულ სხვა ჰავასა და მარტო ხორბლეულის კულტურას არიან მიჩვეულნი და აქაური ციებისაგან დაიხოცებიანო. სომხები და ბერძნები ციებიანს ადგილებს მიჩვეულნი არიან, ამ კუთხეს გააშრობენ და ააყვავებენ და შემდეგ სხვების, ე.ი. რუსების დასასახლებლადაც გამოდგებიანო. ამგვარი საბუთიანობითა და თავისი დიდი თანამდებობის წყალობით მან თავისი თანამოძმეების ჩამოსასახლებლად ყველაფერი გააკეთა, რის გაკეთებაც შეიძლებოდა, რადგანაც ქართველები პოლიტიკურად არასაიმედო ხალხად ჰყავდა რუს მთავრობას მიჩნეული და მათი მოსახლეობის ასპარეზის გაფართოებას სახიფათოდ სთვლიდა. სომეხთა მიერ პოლიტიკურ დამოუკიდებლობაზე ამიერკავკასიის ფარგლებში ოცნების შესაძლებლობაც კი მას ფიქრად არ მოსდიოდა, ამიტომ სომეხ ახალშენის ჩასახლება საქართველოში საშიშროებად არ მიაჩნდა, რადგან სამაგიეროდ ქართველთა მოსახლეობის პროცენტი მცირდებოდა და თანაც საქართველოში რუსეთის განუყოფლობის, როგორც მათ ეგონათ, უერთგულეს ქვეშევრდომთა რიცხვი მრავლდებოდა. მაგრამ ბოლოს და ბოლოს სომეხთა გადმოსახლების აზრის მომწონებელმა მ. კატკოვმაც დაინახა, რომ აქ უბრალო ოინბაზობა იყო და 1887 წელს ის უკვე სწერდა, რომ თუ შავი ზღვის სანაპიროზე რუსები დაიხოცებიან, განა გერმანელ და სომეხ მოახალშენეებს იგივე არ დაემართებათო. ცხადია, რუსული პოლიტიკური აზრი აქ მხედველობაში მიღებული არ არის (მოსკოვსკი ვედომოსტი №13). მაგრამ საქმე უკვე გაკეთებული იყო და აღმოჩნდა, რომ სხვებისათვის თავისუფალი სამოსახლო ადგილი თურმე იქ აღარ არსებობდა. ამ დროს ქართველი ხალხი არავის ახსოვდა. თავის მამა–პაპეულ მიწაწყალზე დასახლება უპირველესად ხომ მისი უფლება იყო, ამის გაგება და გაგონება არც რუსი ერის მთავრობას და არც მის მოხელეთ არ სურდათ. ქართველი გლეხკაცობის სასიცოცხლო ეკონომიური ინტერესები ფეხქვეშ ითელებოდა, მას გადასახლების გზა თავის სამშობლოშიც კი შეკრული ჰქონდა იმ დროს, როდესაც უცხოეთიდგან მოყვანილებს მიწაც ეძლეოდათ და ყოველგვარი დახმარებაც.

როდესაც ამიერკავკასიაში ერობის შემოღებაზე ლაპარაკი დაიწყეს და წინასწარ მსჯელობას შეუდგნენ, მაშინ უკვე ყველასათვის ცხადი შეიქმნა, რომ სომეხ პოლიტიკოსებს სომეხთა საქართველოში გადმოსახლება ოსმალეთისაგან დაბეჩავებული თავიანთ თანამოძმეთა მარტო ფიზიკურად გადარჩენის თვალსაზრისით არ აინტერესებდათ, არამედ, რომ გარკვეული პოლიტიკურ–ეროვნული გეგმის, გაბნეულ სომეხთათვის ერთი მთლიანი ტერიტორიის შესაქმნელად იყო საახალშენოდ ადგილები არჩეული. სომხებმა ბორჩალოს მაზრისა და ახალქალაქის მაზრების ტფილისის გუბერნიისაგან გამოყოფა და გუმბრთან შეერთება მოითხოვეს. გუმბრის სომხური გუბერნიის შესაქმნელად. ამ დროს მეფის მოადგილედ სომეხთა მწყალობელი გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი და მისი მეუღლე ბრძანდებოდნენ, ხოლო მათ მესაიდუმლე მრჩევლად "ხალხის" უერთგულესი გრძნობების მხურვალედ და ენაწყლიანად გამომხატველად და ფეხთამტვერად ივ. ხატისოვის შვილი აღ. ხატისოვი იყო, ხოლო სომეხთა ცხოვრების სადავე დაშნაკელებს ეკავათ ხელთ. ვორონცოვ-დაშკოვმა ბრძანება გასცა, რომ გამოყოფა-შეერთების პროექტის განხორციელების საკითხი განხილული ყოფილიყო. 1913 წ. 6 ნოემბერსა და 18 დეკემბერს საგანგებოდ მოწვეულმა თათბირმა, რომელშიაც სომხებს 6 წარმომადგენელი ჰყავდათ, ქართველებს კი მხოლოდ 2, ბორჩალოს მაზრის ტფილისის გუბერნიისაგან გამოყოფა გეოგრაფიული და ეკონომიური თვალსაზრისით სრულებით შეუძლებლად სცნო. ტფილისის საგუბერნიო განსაკუთრებულმა საბჭომაც ეს დადგენილება 1914 წლის

24 იანვარს დაადასტურა. ამავე წლებში და ამგვარმავე კომისიამ და ორგანოებმა ახალქალაქის მაზრის გამოყოფა და გუბერნიასთან შეერთება ამავე გეოგრაფიულ-ეკონომიურ-ისე-ეს-ეს-ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სებული რაოდენობის მიხედვითაც, ამ უზარმაზარ სახელმწიფოში ოთხკუთხა ვერსზე 25 სულზე მეტი სომეხი არც კი ეყოლებოდათ. სომეხთა დელეგაციის მიერ წარდგენილი რუკისა და სტატისტიკური ცნობების სიცრუე ყველასათვის ცხადი შეიქმნა და თვით ფრანგი, ინგლისელი და ამერიკელი წარმომადგენლების თვალში სომეხთა დელეგაციის ფანტასტიკურ გეგმებს ყოველგვარი ნდობა დაუკარგა სომეხ დაშნაკელ მთავრობისდა მიმართ. პარტიების მთელი ეს უცნაური და დაუჯერებელი სიბეცის მომასწავებელი უზარმაზარი სომხეთის გეგმა დაიმსხვრა და საპნის ბუშტივით გაქრა.

მაგრამ სანამ სრულიადი სომხეთის ამ ახირებული გეგმის განხილვამდე მიდგებოდა საქმე, დაშნაკ-სომეხთა მთავრობა თავის რუკაზე დასახული გეგმის პრაქტიკულად შესრულებისათვის სამზადისს შეუდგა. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორია ქართველი ერის მოსახლეობას არ გადასცილებია და საქართველომ თავისად მხოლოდ ტფილისის, ქუთაისის და ბათუმის ყოფილი გუბერნიები გამოაცხადა. სომხეთის რესპუბლიკა ოსმაღეთის სომხეთის გარდა, რომელიც ხელითგან წაუვიდა, ერევნის გუბერნიას გარდა, ყარსის მთელ ოლქსაც არტაანართვინითურთ ეპატრონებოდა. მაგრამ არც ამით დაკმაყოფილებულა. წინასწარი ფარული სამხედრო სამზადისის შემდგომ ინგლისის საოკუპაციო ჯარის უფროს გენერალ უოფესთან შეთანხმებით *1918*წ. დეკემბრის დამდეგს სომხეთის დაშნაკელთა მთავრობამ თავისი ჯარი საქართველოს შემოუსია და თანაც საგარეო საქმეთა მინისტრის პირით საქართველოს ულტიმატუმად მოსთხოვა ქართლის საზღვრამდის დაეხია. რადგან ქართლად სომხები გორის მაზრას სთვლიან, ცხადია, რომ ეს ულტიმატუმი ტფილისის დაცლასაც გულისხმობდა და ამგვარად ეს მოთხოვნილება ზემოაღნიშნული სომხეთის ორ რუკათაგან ყველაზე უფრო ფანტასტიურ ვითომც ისტორიული რუკის საზღვრების აღდგენას ღამობდა. ოსმაღეთში საქმის წაგებას სომეხ პოლიტიკოსთა მადა საქართველოს წასართმევად და დასაკუთრებისათვის არამცთუ არ-დაუკარგვინებია, პირიქით, გაზრდიათ კიდეც – ძველი სომხეთის ვითომც ისტორიული რუკის აღდგენა საქართველოს და ქართველი ხალხის ხარჯზე უნდოდათ ახლა რომ მოხერხებულიყო.

ამ უგუნურმა მეზობელთაშორისმა ომმა და სისხლისღვრამ სომხეთს გამარჯვება ვერ არგუნა და დაშნაკელთა მთავრობას ისევ წინანდელით დაკმაყოფილება მოუხდა. ამგვარად, სომხეთის ვითომდა ისტორიული საზღვრების აღდგენის თავისი სამხედრო ძალით შესაძლებლობის იმედი გაუცრუვდა. სხვა გზით და სხვა საშუალებით დაშნაკელთა ამ გეგმის განხორციელების მცდელობა შემდეგშიც არ შეწყვეტილა იმისდამიუხედავად, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების უმალ ბორჩალოს მაზრაში მცხოვრებთა სურვილის გასაგებად მოხდენილმა შეკითხვამ მათი საქართველოს სსრ-ის ფარგლებში დარჩენის წადილი და გეოგრაფიული და ეკონომიური მოსაზრება–ინტერესებით ნაკარნახევი გადაწყვეტილება კვლავ დაადასტურა, ღორეს რაიონის სომხებთან შეერთების გეგმის განხორციელებას სომეხთა წრეებმა მიაღწიეს, თუმცა ეს ქართველი ხალხის მესაქონლეობის ინტერესებისათვის საზიანო იყო და არის და ადგილობრივ მცხოვრებთათვისაც ეს საკითხი მოსაზრების სასარგებლო არ იყო. *1922* წ. სომეხთა იმავე წრეების ახალი პროექტი იქნა წარმოდგენილი, რომ ჯავახეთის ანუ ახალქალაქის მაზრის უდიდესი ნაწილი ბორჩალოს მაზრასთან ყოფილიყო შეერთებული და ერთი სომხური ადმინისტრაციული ერთეული შექმნილიყო. რადგან სომეხთა ეროვნული ინტერესები ენისა, სკოლისა და ადგილობრივ მმართველობის მხრივ უზრუნველყოფილი იყო და თანაც ბორჩალოს მაზრას და ჯავახეთს შორის არაფერია საერთო არც გეოგრაფიულად და არც ეკონომიურად, მათ შორის არსებული მაღალი და გაუვალი მთების გამო ფიზიკური კავშირიც კი შეუძლებელია, ცხადია ეს გეგმაც მხოლოდ ამ ორი მაზრის საქართველოს სსრ საზღვრებიდან გამოყოფის და სომხეთთან შეერთებისათვის ოსტატურად გამოგონილი პირველი საფეხურის პროექტი იყო, რომელსაც აუცილებლად მეორეც მოჰყვებოდა. საკმარისია ადამიანმა დაშნაკელთა რუკებს თვალი გადააავლოს, რომ მისთვის ნათელი გახდეს, რომ აქაც ბრძოლა მხოლოდ იმავე წინანდელი მიზნის სხვა გზით განხორციელებისათვის სწარმოებდა. სსრკ შინაგან საქმეთა კომისარიატმა ახალქალაქისა და ბორჩალოს მაზრების მცხოვრებთა აზრის და ეთნოგრაფიულ-ეკონომიური ფაქტორების გამო ამ გეგმის განხორციელება შეუძლებლად სცნო რაც მან *26* თებერვალს *1925* წ. კომუნისტური პარტიის ცენტრ. კომიტეტს (№*29 1367*) აცნობა კიდეც.

ცენტრ. კომიტეტის მიერაც ეს დასკვნა დადასტურებული იქნა. ამის შემდგომ სომეხთა ამავე წრეების შთაგონებით წამოყენებულ იქნა საქართველოს ყარაია-შირაქის ველის სომხეთთან დასახლების პროექტი. ეს ადგილი უნდა სარწყავი არხების გაყვანით მორწყულიყო და სომხებს მებამბეობის მეურნეობა უნდა მოეწყოთ, რომელიც მათი სიტყვით რუსეთის საფეიქრო ინტერესებისათვის ფრიად მნიშვნელოვანია და საჭირო, საგულისხმოა, რომ ამ შემთხვევაშიც ივ. ხატისოვისებური მოსაზრება იყო წარმოდგენილი, რომ ამავე დროს წყალი ქართველ ხალხს თავადაც არ ჰყოფნის და ამ მინდვრების მორწყვა ქართული სამეურნეო კულტურის განადგურებას უდრიდა. ამაზე სომეხთა პოლიტიკოსები არ ფიქრობდნენ. . . ამ სომეხთა პროექტის განხორციელების სრული შეუძლებლობის დამტკიცება საქართველოს მიწათმოქმედების კომისარიატისათვის არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა და ამგვარად ეს პროექტიც უარყოფილ იქნა. დამახასიათებელია, რომ ფრ. ნანსენმაც ტფილისში ჩამოსვლისთანავე ამავე საკითხზე დაიწყო ლაპარაკი და უნდოდა გაეგო, თუ რამდენად შესაძლებელი იყო საქართველოს ამ კუთხეში ლტოლვილი სომხების დასახლება. ცხადია, რომ ფრ. ნანსენსა და აქაურ სომეხთა პოლიტიკოსებს სულის წმინდის შთაგონებით არ მოსვლიათ ერთი და იგივე აზრი, არამედ აქ ჩვენ სომხებისათვის პოლიტიკური ტერიტორიის ხელოვნურად შექმნის დაშნაკელთა ძველი ზემოდხსენებულ რუკებზე აღბეჭდილი გეგმის განხორციელების ხელახალ მეცადინეობასთან გვაქვს საქმე.

დასასრულ ახლა ორიოდე სიტყვა კიდევ ვითომც ახალ პროექტზე ჯავახეთისათვის ავტონომიის მინიჭებისა და გამოყოფის აუცილებლობის შესახებ. ყველა ზემონათქვამის შემდგომ ცხადია, თუ საითგან და რისთვის მომდინარეობს ეს პროექტიც. არც გეოგრაფიული და არც ეკონომიური პროექტები არ შეცვლილა. სომეხთა ეროვნული ინტერესები ახლა ხომ სავსებით უზრუნველყოფილია. მაშ რითღა არის ეს ახალი გეგმა გამოწვეული, თუ არა იმავე პოლიტიკური ტერიტორიალური მიზნის მისაღწევად? ამ გეგმის განხორციელებით ამავე დროს ქართველი მშრომელი ხალხის იმ ნაწილს, რომელიც მესაქონლეობას მისდევს, არსებობის უკანასკნელი ღუკმა უნდა ექნეს პირითგან გამოგლეჯილი და მეცხვარეობა საქართველოში უნდა მოისპოს სრულიად? თუ წინანდელი რუსეთის ბატონობის დროს ქართველი ხალხის ინტერესები საქართველოში ფეხქვეშ იყო გათელილი და თავისუფალი მიწა საქართველოში რუს და სომეხ მოხელეების პოლიტიკის წყალობით მხოლოდ სომხებმა და რუსებმა ჩაიგდეს ხელში. ნუთუ ახლა შესაძლებელია რომ ქართველი ხალხის სასიცოცხლო ინტერესები სომეხ დაშნაკთა პოლიტიკურ ეროვნულ პროექტების განხორციელებას შეეწიროს მსხვერპლად? ეს იმდენად დაუჯერებელი რამეა, რომ დარწმუნებული ვარ სსრკ მთავრობა ამ პროექტსაც უარჰყოფს იმგვარადვე, როგორც უარყოფილი იყო იმავე წრეებითგან გამომდინარე ზემოაღნიშნული ამისავე მსგავსი პროექტები.

ივანე ჯავახიშვილი

---

* ივანე ჯავახიშვილის ეს წერილი გადმობეჭდილია კრებულ „ოქროს საწმისი"-დან, №1-მაისი 1975 წელი, რედაქტორი ზვიად გამსახურდია.

სომხების შურისძიება

უკანასკნელ დროს ევროპაში ძალიან გახშირდა ტერორისტული აქტები თურქეთის საელჩოებზე და კომერციულ დაწესებულებებზე, რომლის პასუხისმგებლობას აცხადებენ სომხური საიდუმლო ორგანიზაციები: „სომეხი ხალხის გენოციდის შურისმაძიებლები", „სომხეთის განთავისუფლების საიდუმლო არმია" და „სომხების ახალი წინააღმდეგობა".

სომხების ტერორისტებმა მოჰკლეს თურქეთის ელჩები ავსტრიაში (22.10.1975 წ.), ვატიკანში (ივნისი 1977 წ.) საფრანგეთში (24.10.1975 წ.), ლიბანში (თებერვალი 1976 წ.), და თურქეთის ელჩის ცოლი, ცოლისძმა და ავტომობილის მძღოლი ესპანეთში. 1979 წელში: 22 აგვისტოს თავდასხმა მოხდა ქ. ჟენევაში თურქეთის ვიცე-კონსულზე, 27 აგვისტოს ქ. ფრან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კფურტში თურქეთის საჰაერო კომპანიის ბიუროზე, 3 ოქტომბერს ქ. კოპენჰაგენის ცენტრში აფეთქებულმა ბომბმა იმსხვერპლა ორი ადამიანი, 12 ოქტომბერს კი ჰოლანდიის დედაქალაქში მოჰკლეს თურქეთის ელჩის ვაჟი აჰმედ ბენლერი და ბოლოს 22 დეკემბერს, პარიზში მოჰკლეს თურქეთის ტურიზმის დირექტორი და საელჩოს მრჩეველი ილმას კოლპანი. თითქმის იმავე დროს ქ. ამსტერდამში აფეთქდა თურქეთის საჰაერო კომპანიის ბიურო და იმავე საღამოს სტამბოლში ტყვიისმფრქვეველით მოჰკლეს ერთი თურქი ოფიცერი და ერთიც მძიმედ დასჭრეს.

სომეხი ტერორისტები ვერასდროს ვერ დააპატიმრეს.

როგორც ცნობილია, 1915 წელს, პირველი მსოფლიო ომის მსვლელობის დროს, თურქეთის მაშინდელმა მთავრობამ მტრულად განწყობილი სომხები აჰყარა თავის მიწა-წყლიდან და გადაასახლა სირია-მესოპოტამიაში. გადასახლების დროს ბევრი ამოხოცეს ან დაიღუპა. დაღუპულთა რაოდენობას ზოგი ასი ათასამდე ანგარიშობს და ზოგიც ერთ მილიონ ნახევარს.

ამჟამად სომხები მოითხოვენ, რომ თურქეთის მთავრობამ ცნოს სომეხი ხალხის გენოციდის პასუხისმგებლობა და მათ დაუბრუნოს მათი ისტორიული სამშობლო.

საბჭოთა კავშირის გარეთ, სომხების რაოდენობას ოთხ მილიონამდე ანგარიშობენ. ისინი უმთავრესად დასახლებული არიან კანადაში, ამერიკის შ. შტატებში, ეგვიპტეში, ლიბანში და სირიაში. ევროპაში ყველაზე მეტი სომეხი ცხოვრობს საფრანგეთში, ორასი ათასი სული, ხოლო პარიზში კი 70 ათასი სომეხია.

ცნობები ამოღებულია გაზეთ „ფიგაროს" 20.12.1979 და 24.12.1979 წლის ნომრებიდან.

პარიზი. იანვარი. 1980

მინაწერის სახით.

სამგლოვიარო წლისთავი

მთელ მსოფლიოში გაფანტულმა სომხებმა მიმდინარე წლის 24 აპრილს განსაკუთრებულად აღნიშნეს და კაცობრიობას მოაგონეს სომეხი ხალხის მასიურად ამოხოცვის 65 წლისთავი. საფრანგეთში ხალხმრავალი მიტინგები და მანიფესტაციები გაიმართა პარიზში, ლიონში და მარსელში, რომლებშიც მონაწილეობდნენ ფრანგი პარლამენტარები.

გრიგოლ წერეთელი

ვენეციის კონფერენციის განცხადება ავღანისტანზე (გაგრძელება)

„ბისყოფასთან, როგორც ამას მოწმობს მისი გმირული წინააღმდეგობა, და მის მეზობელ სახელმწიფოების უშიშროებასთან. ის აგრეთვე შეუთავსებელია გაერთიანებულ ერთა ქარტიის პრინციპებთან და ჰეშმარიტ დეტანტის დაცვასთან. ის ეჭვის ქვეშ აყენებს თვით მშვიდობის საფუძვლებს, როგორც იმ მხარეში ისე მთელ მსოფლიოში. ავღანისტანმა უნდა აღიდგინოს თავისი სუვერენობა, ტერიტორიის მთლიანობა, პოლიტიკური დამოუკიდებლობა და ტრადიციული ხასიათი მიუმხრობელი ქვეყნისა.

აქედან გამომდინარე, შვიდი სახელმწიფოს მეთაური აცხადებს, რომ საბჭოთა ჯარები უნდა იქნენ გამოყვანილი და საშუალება უნდა მიეცეს ავღანელ ხალხს თავისუფლად განსაზღვროს თავისი მომავალი. მხოლოდ ამგვარად შეიძლება აღსდგეს მდგომარეობა, რომელიც შესაფერისი იქნება კანონიერების, მშვიდობიანობის და მით ყველას ინტერესების."

„7 აცხადებს მზად ყოფნას ყველაფერი შესაძლებელი გააკეთონ, რათა მიაღწიონ მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას."

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავღანელთა წინააღმდეგობა არ ცხრება

როგორც ცნობილია, *1978* წლის აპრილში, საბჭოთა კავშირში გამოზრდილმა ოფიცრების ჯგუფმა სამხედრო გადატრიალება მოახდინა ავღანეთში. ხელისუფლების მაშინდელი მეთაური დაუდ ხანი და მისი მომხრეები ამოჟლიტეს, ძალაუფლება ხელში ჩაიგდეს, საბჭოთა კავშირის მთავრობასთან სამეგობრო კავშირი შეკრეს და ხელი მიყვეს კომუნისტურ რეფორმების დაჩქარებულ გატარებას. ავღანეთში, ამ უაღრესად რელიგიურ მუსულმანურ ქვეყანაში, კომუნისტურმა რეჟიმმა ფართო მასების მხარდაჭერა ვერ ჰპოვა. პირიქით, მან საზოგადოების ყველა ფენები აიმხედრა და მხოლოდ სისხლიანი რეპრესიებით და საბჭოების ეგრედ წოდებულ „მრჩეველების" წყალობით ედგა სული, მაგრამ მისი დღეები დათვლილი იყო. *17* თვის განმავლობაში თარაკის და ჰაფიზულა ამინის კომუნისტურმა რეჟიმმა იმსხვერ–პლა *300.000* ავღანელი და *300* საბჭოთა „მრჩეველი". ქვეყანაში აჯანყება სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა ისე, რომ *1979* წლის ბოლოსთვის ავღანეთის ტერიტორიის *80%* აჯანყებულთა ხელში იყო და ქაბულის მთავრობას უეჭველი დამარცხება ელოდა. ამ მდგომარეობით უნდა აიხსნას საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილება ავღანეთში აშკარა და მასიური სამხედრო ინტერვენციის. საბჭოთა ლიდერები და მათი პროპაგანდა ურცხვად აცხადებენ, რომ საბჭოთა მთავრობას ძმური სამხედრო დახმარება თხოვა ავღანეთის მთავრობამ, რომელსაც უცხო სახელმწიფოების ანტერვენცია საფრთხეს უქმნიდაო. ეს განცხადება არა მარტო სიცრუეა, არამედ ცინიკურიცაა: ერთადერთი, რომელსაც შეეძლო დახმარება ეთხოვა საბჭოთა მთავრობისათვის იყო ავღანეთის მაშინდელი დიქტატორი ჰაფიზულა ამინი, მაგრამ ის საბჭოთა ჯარებმა მოჰკლეს შესევისთანავე, ხოლო ახალი დიქტატორი ბაბრაქ ქარმელი საბჭოთა ჯარებს შემოყვა მოსკოვიდან მომავალი.

ზედმეტია იმის მტკიცება, რომ საბჭოების ეს მორიგი ტყუილი არავის არ სჯერა, ამის სამაგალითოდ შეიძლება მოვიყვანოთ საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, ჟან. ფრანსუა-პონსეს უკანასკნელი განცხადება: „საფრანგეთისათვის ის მოტივი, რომელსაც სსრკ აცხადებს, რათა მისი სამხედრო ინტერვენცია გაამართლოს, მიუღებელია. ჩვენს განკარგულებაში არსებული ცნობები მოწმობენ, რომ ავღანისტანში ჩვენ ვიმყოფებით ფართო სახალხო წინააღმდეგობის წინაშე"-ო. (ლე მონდი" *9.5.1980)*. მსოფლიოს მიუდგომელი პრესა თითქმის ყოველდღიურად აქვეყნებს ცნობებს ავღანელთა ამ ნამდვილად სახალხო წინააღმდეგობის შესახებ. *17* მარტს, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის პორტ-პაროლმა, ჰოდინგ კარტერმა ჟურნალისტებს განუცხადა: „მის შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირის ჯარებმა ავღანეთი დაიპყრეს, მათ დაკარგეს სულ ცოტა რვა ათასი ჯარისკაცი, მოკლული და დაჭრილიო." მანვე მიუთითა, რომ ავღანთა ჯარში გრძელდება ამბოხებები და დეზერტირობაო.

ავღანელ მოწინააღმდეგეებს დიდ დაბრკოლებას უქმნის მათი მრავალ პარტიებად დანაწილება. საბჭოთა ჯარების შეჭრამ დააჩქარა მათი გაერთიანება. ამჟამად უმრავლესობა გაერთიანებულია „ავღანისტანის განთავისუფლების ისლამურ ალიანსში". ამ საერთო ფრონტში შესვლა არ ინდომა მხოლოდ ერთმა დიდმა პარტიამ, რომელსაც ეწოდება „ეზბი ისლამი" (ისლამის პარტია).

მარტის ბოლო რიცხვებისათვის ავღანეთიდან გამოქცეულები პაკისტანში იყვნენ *650.000* და ყოველთვიურად მათ ემატებოდათ *2.000* ახალი დევნილი. ირანში გადმოხვეწილ ავღანთა რაოდენობას ანგარიშობენ *50–60* ათას

ფრანგულ გაზეთ „ლე მონდის" სპეციალურ კორესპონდენტის, ჟერარ ვირატელის ცნობით, ავღანელ პარტიზანებს არავითარ დახმარებას არ უწევს დასავლეთი, თვით ამერიკის შ. შტატების ჩათვლით. უმნიშვნელო თანხებით ეხმარებიან ისლამური ქვეყნები, პაკისტანი მათ მხოლოდ თავშესაფარს აძლევს, მაგრამ იარაღით არ ეხმარება. ავღანელი მეამბოხეებიო, წერს ჟერარ ვირატელი, მხოლოდ საკუთარი თავის იმედით იბრძვიან და რუსებისადმი შურისძიების გრძნობით არიან აღტკინებულიო. („ლე მონდი" *3.4.1980*).

პაკისტანის ოპოზიური პარტიის თავჯდომარის, მუფტი მეჰმედის განცხადების მიხედვით *13.000* ავღანელზე მეტი გადასახლებულია ციმბირში, ავღანეთის მრავალი სოფელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბომბებით სრულიად იქნენ დანგრეული და შემდეგ ბულდოზერებით გადასწორებულ-ალის დღევანდელი რეჟიმის დროს უკვე დაიღუპა ასი ათასი ავღანელი და ამდენივე საპატიმროებში იმყოფებაო (გაზეთი „ფიგარო“ 29.4.1980).

8 მაისის გაზეთ „ლე მონდის“ ცნობით, აპრილის ბოლოს, პანშირის ველზე, სადაც საბჭოთა დიდი საჰაერო ბაზა მდებარეობს, ადგილი ჰქონდა დიდ ბრძოლებს, სადაც საბჭოთა ჯარების ერთი კოლონა იქნა განადგურებული, მოკლულ იქნა ასი საბჭოთა ჯარისკაცი, კოლონის მეთაურთან ერთად, 30 ჯარისკაცი აჯანყებულს ტყვედ ჩაუვარდა და 13 საბჭოთა ჯავშნოსანი განადგურდაო. „ეზბი ისლამის“ ცნობით, აგრძელებს იგივე გაზეთი, ავღანისტანის ცენტრალურ რაიონში მოკლეს 400 საბჭოთა ჯარისკაცი, 85 ტყვე დახვრიტეს შემდეგ, ხოლო 300 ავღანელი ჯარისკაცი ამბოხებულთა მხარეზე გადავიდაო.

ავღანისტანის განთავისუფლების ისლამური ალიანსის ცნობით, 4 მაისს, ქაბულში მოხდა თავდასხმა საბჭოთა ელჩზე, საიდანაც ელჩი უვნებელი გამოვიდაო.
ინდოეთის სააგენტოს ცნობით, შაბათს, 3 მაისს მოწაფეების და სტუდენტების გაფიცვების დროს დაიღუპა ერთი სტუდენტი, ათასამდე დაპატიმრებულიაო.

საბჭოთა სააგენტომ, ტასმა აღიარა, რომ ქაბულის სკოლებში ადგილი ჰქონდა უწესრიგობას, მაგრამ ის გამოიწვია ისეთმა ელემენტებმა, რომლებსაც საერთო არაფერი აქვთ უნივერსიტეტთანო. 9 მაისს ქაბულში კვლავ დაძაბული მდგომარეობა იყო. გაფიცული მოსწავლეები და სტუდენტები კიდევ არ გამოცხადდენ გაკვეთილებზე.

9 მაისს, საბჭოთა ჯარებმა დიდი ძალებით იერიში მიიტანეს გამაგრებულ პარტიზანების წინააღმდეგ ღაზის პროვინციაში. შეტევაში მონაწილეობდა 600-დან–900-მდე ტანკი და ჯავშნოსანი. საბრძოლო ვერტმფრინავები და გამანადგურებელი თვითმფრინავები. ბრძოლებში დაიღუპა რამოდენიმე ათასი მებრძოლი. ერთი ავღანელის ცნობით, ქაბულის ჰოსპიტალში მოიყვანეს 24 დასახიჩრებული ბავშვი ღაზის პროვინციიდან („ლე მონდი“ 11 და 12 მაისი 1980).

ავღანელი ხალხის წინააღმდეგობა საბჭოთა ჯარების ოკუპაციისადმი, რომ ღრმა და მასიურია ამას ცხადად მეტყველებს ქ. ქაბულის მოსახლეობის, განსაკუთრებით მისი განთქმული ბაზრის, გაფიცვები 21 თებერვალს და სახელმწიფო ფუნქციონერების უვადო გაფიცვა 23 თებერვალს.

რაც შეეხება 4 მაისის გაფიცვებს და მანიფესტაციებს, როგორც ეს თანდათან ირკვევა, გაცილებით უფრო ფართო ხასიათის და სერიოზული შედეგების იყო, ვიდრე ამას აღრე იტყობინებოდნენ. მოსწავლეების და სტუდენტების გაფიცვებს და მანიფესტაციებს ქ. ქაბულის გარდა ადგილი ჰქონდა ავღანეთის ბევრ სხვა ქალაქებშიც. მოხდა თავდასხმები არსენალებზე და საბჭოთა სამხედრო ბანაკებზე, რომლების დროსაც ბევრი საბჭოთა ჯარისკაცი დაიღუპა. მანიფესტაციებმა იმსხვერპლა 156 სტუდენტი, ბევრი შემდეგ გარდაიცვალა მძიმე ჭრილობებისაგან.

ქ. ქაბულის მოსახლეობამ 40 დღის განმავლობაში ტრაღიკული გლოვა გამოაცხადა. საბჭოების და ავღანეთის ოფიციალურმა სააგენტოებმა აღიარეს 4 მაისის მანიფესტაციების სერიოზული ხასიათი. ქაბულის რადიოს ცნობით სასამართლოს წინაშე წარსდგება ერთი ასეული ახალგაზრდა.

აჯაბუებულთა ცნობით, ერთი კვირის მკაცრი ბრძოლების შემდეგ აჯანყებულების ხელში გადავიდა ბადახშანის პროვინციის ზებაკის რაიონი. ბრძოლების დროს მოიკლა 90 საბჭოთა ჯარისკაცი და განადგურდა ორი ვერტმფრინავი. ერთ-ერთი მათგანის ნამსხვრევებში აღმოჩნდა ერთი საბჭოთა გენერლის გვამი.

(„ლე მონდი“ 13 და 14 მაისი, „ფიგარო“ 14 მაისი)

15 მაისი 1980. მამულს განშორებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოები იყენებენ ბაქტერიოლოგიურ იარაღს?

აჯანყებულმა ავღანელებმა რამოდენიმეჯერ განაცხადეს, რომ საბჭოთა ჯარები ავღანეთში იყენებენ ბაქტერიოლოგიურ იარაღს. საბჭოთა ჯარების შეჭრის შემდეგ თავისუფალ სამყაროს პრესის წარმომადგენლებს ავღანეთში არ უშვებენ, ამიტომ ძნელია დამტკიცება თუ რამდენად ეს ცნობა სიმართლეს შეეფერება, თვით საბჭოთა კავშირის მთავრობა კი კატეგორიულად უარყოფს ამ ამბავს.

თუ ავღანეთში ბაქტერიოლოგიური იარაღის ხმარება დამტკიცებულად არ შეიძლება ჩაითვალოს, სამაგიეროდ ეჭვი არ არსებობს, რომ საბჭოთა კავშირი ამ კრიმინალურ იარაღს ამზადებს ჩუმათ და ეს მიუხედავათ იმისა, რომ არსებობს შეთანხმება ამერიკასა და საბჭოთა კავშირს შორის ამ იარაღის დამზადების აკრძალვის შესახებ.

თეთრი სახლის პორტ-პაროლმა ჟურნალისტებს განუცხადა: „საბჭოები მიუხედავად აკრძალვისა ამზადებენ ბაქტერიოლოგიურ იარაღს"-ო. თეთრი სახლის ეს განცხადება ემყარებოდა იმ უბედურ შემთხვევას, რომელსაც გასულ წელს ადგილი ჰქონდა ურალში, ქ. სვერდლოვსკის მახლობლად. რუსული ემიგრანტული ჟურნალი „პოსევი" ამტკიცებს, რომ ქ. სვერდლოვსკის მახლობლად, ტყიან რაიონში აკრძალული ზონაა სადაც წარმოებს ბაქტერიოლოგიური იარაღის დამზადება. *1979* წლის *4* აპრილს აფეთქების შედეგად ქარმა მიკრობები გაავრცელა საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე. მოიწამლა სოფელი კიშინო და ქ. სვერდლოვსკის გარეუბანი. იმ დღესვე გამომჟღავნდა ეპიდემიის საეჭვო შემთხვევები. სვერდლოვსკის საავადმყოფოში სასწრაფოდ გამოყვეს სპეციალური პავილიონი სადაც ათავსებდნენ მიკრობებით დაავადებულებს, მას განაგებდნენ სამხედრო ექიმები, რომლებსაც სპეციალური კომბინეზონები ეცვათ. მიკრობებისგან დაღუპულთა ცხედრები ოჯახებს არ დაუბრუნეს და მოსახლეობა მათ მაგიერ ცარიელ კუბოებს ასაფლავებდა.

მეორე დღესვე რაიონის მთელ მოსახლეობას აუცრეს ბაქტერიების საწინააღმდეგოდ და მათ აუხსნეს, რომ არაფერი არ მომხდარა, პანიკას არ უნდა მიეცნენ და ყოველ შემთხვევაში საშიში აღარაფერიაო. ამ უბედურ შემთხვევისაგან დაიღუპა სულ ცოტა *200* კაცი.

ამერიკის მთავრობის საპროტესტო განცხადებაზე, საბჭოებმა უპასუხეს, რომ „ეს არის წმინდა წყლის ცილისწამებაო", და რომ ეპიდემია „ციმბირის წყღული" სვერდლოვსკის რაიონში გამოიწვია დაზიანებულ ხორცის მიღებამო.

ამერიკული ცნობების მიხედვით ქ. სვერდლოვსკში გარდაიცვალა სულ ცოტა ორასი ადამიანი ფილტვების ანთრაქსით, რაც შეუძლებელია გამოწვეული იყოს გაფუჭებული ხორცის მიერო.

ბაქტერიოლოგიური იარაღის ეს მარცხი ერთხელ კიდევ აჩვენებს თუ რა ფასი აქვს საბჭოთა მთავრობის მიერ ხელმოწერილ საერთაშორისო ხელშეკრულებებს. ყველაფერი ემსახურება საერთაშორისო საზოგადოების თვალის ახვევას და შესაძლებელი მოწინააღმდეგის მოტყუებით განიარაღებას. თუ ამ კრიმინალური იარაღის გამოყენება ავღანისტანში დამტკიცდა, მაშინ ბრეჟნევი ჰიტლერს გადააჭარბებს თავისი ბოროტმოქმედებით კაცობრიობის წინააღმდეგ.

გ. ლუბაშვილი

ავღანეთის შემდეგ რეპრესიები

საბჭოთა ჯარების შეჭრას ავღანისტანში მოყვა რეპრესიების გაძლიერება თვით საბჭოთა კავშირის შიგნით. ამ რეპრესიების კულიმინაციურ წერტილს წარმოადგენს *15* იანვარს, მსოფლიოში ცნობილი საეკლესიო მოღვაწის, რუსულ მართლმადიდებელ ეკლესიის მღვდლის, დიმიტრი დუდკოს დაპატიმრება, და *22* იანვარს რუსულ კონტესტატორულ მოძრაობის მამამთავრის, ნობელის პრემიის ლაურეატის , ანდრეი სახაროვის ადმინისტრატიული გადასახლება მოსკოვიდან *400* კილომეტრით, ქ. გორკში.

30/83

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ამბებმა, თუ მეტი არა ისეთივე აღშფოთება გამოიწვიეს არასაბჭოთა სამყაროში, როგორც ავღანისტანში წითელი არმიის შეჭრამ. დასავლეთის დემოკრატიულ ქვეყნებში ყველგან გაიმართა საპროტესტო მანიფესტაციები საბჭოთა საელჩოების წინ, ხოლო ქრისტიანულმა ეკლესიებმა მოაწყვეს სახალხო ლოცვები მამა დიმიტრი დუდკოს და საერთოდ რწმენის თავისუფლების დამცველთა სასარგებლოდ. საბჭოთა კავშირში რწმენისათვის დევნილთა სია მეტად გრძელია, მათ შორის ყველაზე ცნობილები არიან: თვით მამა დიმიტრი დუდკო, რომელმაც *9* წელიწადი უკვე გაატარა სტალინ-ბერიას გულაგებში, მან თავი დაანება ქადაგებას და მის მაგივრად შემოიღო დიაღონი დამსწრეებთან. მთავრობის მოთხოვნით, რუსეთის ეკლესიის პატრიარქმა მამა დუდკოს ჩამოართვა წირვის უფლება. მამა დუდკო მკაცრად აკრიტიკებდა ასევე რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიის სინოდს, რადგანაც ის სრულ მორჩილებაშია მებრძოლ ათეისტურ საბჭოთა რეჟიმისადმი.

უკვე დიდი ხანია პატიმრობაში იმყოფებიან უკრაინელი ეპისკოპოსი იოსიფ ტერელია, სომეხი დიაკონი რობერ ნაზარიანი, ლიტველი მღვდელი გლებ იაკუნინი, ქართველი ვალენტინა ფაილოძე და თეიმურაზ ჯვარშეიშვილი, აკადემიკოსი შაფარევიჩი, სოციალ-ქრისტიანული ალიანსის დამაარსებელი იგორ ოგურცოვი, მოსკოვის ახალგაზრდობის სემინარის დამაარსებელი ალექსანდრ ოგოროდნიკოვი, ლიტვის საეკლესიო ქრონიკების გამავრცელებელი პეტრას პლიურა, და სხვა ნაკლებად ცნობილი კონტესტატერები. ბაპტისტი ჯარისკაცი ივან მოისეევი აწამეს და დაახრჩვეს კერჩში, რადგანაც მან არ უარყო თავისი რწმენა.

აკადემიკოსმა ანდრეი სახაროვმა, გორკში გადასახლების შემდეგ მისი მეუღლის, ელენე ბონარის საშუალებით დასავლეთის პრესის წარმომადგენლებს გადასცა შემდეგი შინაარსის განცხადება: „საბჭოთა კავშირი ცდილობს გაამტკიცოს მისი სამხედრო უპირატესობა ევროპაში, დაშალოს სამშვიდობო პერსპექტივები ახლოაღმოსავლეთში და სამხრეთ აფრიკაში, ეხმარება ტერორისტულ რეჟიმებს ეთიოპიაში და სხვაგან და აგრეთვე ნახევრად ოფიციალურ ტერორისტებს ირანში, ინახავს სამხედრო ძალებს კუბაში და ამ საშიშ პოლიტიკის კულმინაციური წერტილია ავღანისტანი, სადაც საბჭოთა ჯარები აწარმოებენ შეუბრალებელ ომს აჯანყებულ ავღანელ ხალხის წინააღმდეგ. შიგნით კი ხელისუფლებამ მიიღო ახალი ღონისძიება ადამიანის უფლებების დაცვის მოძრაობის გულის წინააღმდეგ“.

გ.წ. *11* მარტს, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ორგანოებმა დააპატიმრეს ქალბატონი მაღვა ღანდა. მ. ღანდა იყო აქტიური წევრი ჰელსინკის შეთანხმების დამცველთა მოსკოვის კომიტეტის და პოლიტიკურ პატიმართა დამხმარე ფონდის ადმინისტრატორი. ქალბატონმა ღანდამ უკვე ორი წელიწადი გაატარა პატიმრობაში და ახალი განთავისუფლებული იყო ამნისტიით, როცა ის ხელახლად დააპატიმრეს.

ა.წ. *14* მარტის გაზეთი „ფიგარო“ იუწყება კონტესტატერ ვიქტორ კაპიტანჩუკის დაპატიმრებას. ვ. კაპიტანჩუკი ერთერთი თანადამაარსებელია „მორწმუნეთა უფლებების დაცვის ქრისტიანული კომიტეტის“. მასაც ბრალდებად უყენებენ „ყალბ ცნობების გავრცელებას რომელიც ჩრდილს აყენებს საბჭოთა კავშირს“.

დასავლეთის პრესის ცნობით, *29* აპრილს მოსკოვში დაუპატიმრებიათ მათემატიკოსი ალექსანდრ ლავუტი. დაპატიმრებამდე ის წევრი იყო ჯგუფის, რომელიც იძიებდა ფსიქიატრიის უმიზეზოდ გამოყენების შემთხვევებს, ის ეკუთვნოდა აგრეთვე ჰელსინკის შეთანხმების დაცვის მოსკოვის კომიტეტს.

29 აპრილს ლონდონში გამოქვეყნდა „ამნესტი ინტერნაციონალის“ ორას გვერდიანი ანგარიში საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ პატიმართა შესახებ. ეს არის ამ საერთაშორისო ორგანიზაციის მეორე საანგარიშო გამოცემა საბჭოთა კავშირის შესახებ. ამ ორ გამოცემას შორის „ა. ი.“ მიერ აღრიცხვაზე აყვანილთა რაოდენობა *400* პირით გაზრდილა. სინამდვილეშიო, ამბობს „ა. ი.“, საბჭოთა პოლიტპატიმრების რიცხვი გაცილებით მეტია, შეუძლებელია მისი სრული გაგება, რადგანაც ხელისუფლება კრძალავს პოლიტიკურ პატიმართა შესახებ ცნობების გავრცელებასო-

„ამნისტი ინტერნაციონალის“ ამ ცნობაში შემდეგ აღწერილია ის მძიმე პირობები რომლებშიც იმყოფებიან საბჭოთა პოლიტიკური პატიმრები და განსაკუთრებით დაგმობილია ფსიქიატრიული დაწესებულებები, რომლებიც წამლავენ და ანადგურებენ გონებრივად ჯან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საღ პატიმრებს.

მაისი 1980 წელი

--- --- --- --- --- ---

ირანი და ამერიკელი მძევლები

23 აპრილს ამერიკელებმა ცადეს სამხედრო კომანდოს საშუალებით მათი თეირანის საელჩოში დატყვევებული მძევლების განთავისუფლება. 25 აპრილს ამერიკის პრეზიდენტმა და შემდეგ თავდაცვის მდივანმა თავად აუწყეს ეს ამბავი ქვეყნიერებას. მათ არ გაუმჟღავნებიათ თუ საბოლოოდ როგორ უნდა განხორციელებულიყო მძევლების განთავისუფლება. პირველი ნაწილი კი ასე დაიწყო: ირანში, თეირანის მახლობლად, ტაბასად წოდებულ უდაბნოში, ექვსმა თვითმფრინავმა (ტ-130 ჰერკული) ეგვიპტიდან მოიყვანა განმათავისუფლებელ კომანდოს 90 მებრძოლი, ამავე თვითმფრინავებს ირანიდან უნდა გამოეყვანათ განთავისუფლებული მძევლები. ტაბასში უნდა მოფრენილიყო 8 ვერტმფრინავი (სიკორსკებად წოდებული). მათ ევალებოდათ კომანდოს მიყვანა თეირანში და იქიდან განთავისუფლებულ მძევლების მიყვანა ტაბასში. ვერტმფრინავები მოდიოდნენ ავიამზიდიდან, რომელიც იმყოფება ომანის ზღვაში. ტაბასში მოფრინდა მხოლოდ ექვსი ვერტმფრინავი, ერთი იძულებული გახდა მალე უკანვე დაბრუნებულიყო ავიამზიდზე, მეორე კი იძულებით დაფრინდა შორს არჩეული ადგილიდან. ორივე ვერტმფრინავში მოხდა მოულოდნელი მექანიზმის მოშლა. ტაბასში მოფრენილ ექვსი ვერტმფრინავიდან ერთში აღმოჩნდა ჰიდრავლიური მექანიზმის დაზიანება და ამრიგად ოპერაციის გაგრძელებისათვის რჩებოდა მხოლოდ ხუთი ვერტმფრინავი. გეგმის მიხედვით კი აუცილებლად საჭირო იყო სულ ცოტა ექვსი ვერტმფრინავი. ამერიკის მთავრობის ცნობის თანახმად ამ მდგომარეობამ განაპირობა მძევლების განთავისუფლების მისიის გაუქმება. კარტერმა რადიო-ტელევიზორით განაცხადა, რომ კომანდოს მისია მისი ბრძანებით დაიწყო და მისივე ბრძანებით იქნა გაუქმებული. მანვე დასძინა, რომ მას ჰუმანური მიზნები ჰქონდა და არ ყოფილა მიმართული ირანელი ხალხის წინააღმდეგ.

მისიის გაუქმების შემდეგ ადგილი ჰქონდა უბედურ შემთხვევას. ღამის სიბნელეში ტაბასიდან ევაკუაციის დროს ერთი თვითმფრინავი მეორეს დაეჯახა მიწაზე. თვითმფრინავს ცეცხლი გაუჩნდა და მასში მყოფი ეკიპაჟის რვა წევრი დაიღუპა, ოთხი დაშავდა. დაშავებულები ამერიკელებმა თან წამოიყვანეს, ხოლო დაღუპულები ადგილზე დატოვეს დამწვარ თვითმფრინავში. ამრიგად მძევლების ძალით განთავისუფლების მისია უშედეგოდ დამთავრდა, ამერიკამ ადამიანების და მატერიული ზარალი განიცადა და მის საერთაშორისო პრესტიჟს კიდევ ერთი ჩრდილი მიადგა. ამ მარცხმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია მთელ მსოფლიოში. ამ ამბავთან დაკავშირებით, 28 აპრილს თანამდებობიდან გადადგა საგარეო დეპარტამენტის მდივანი სირიუს ვანსი, რომელიც წინააღმდეგი ყოფილა ირანის წინააღმდეგ ძალის გამოყენების. მეორე დღესვე ვანსის ადგილას დაინიშნა სენატორი ედმონდ მასკი. ე. მასკი საყოველთაოდ ცნობილი და დაფასებული პოლიტიკური მოღვაწეა, ის განაგებდა სენატის საბიუჯეტო კომისიას. აღსანიშნავია, რომ ამ მარცხით დამთავრებული მისიის შემდეგ, პრეზიდენტ კარტერის ავტორიტეტი მის თანამემამულეების თვალში არ შესუსტებულა, პირიქით ამერიკელი ხალხი დარაზმულია მის ირგვლივ, მას ამ სამხედრო ოპერაციას არ უსაყვედურებენ და მოითხოვენ კიდევ უფრო ენერგიულ ღონისძიებებს მომავლისათვის.

გარდა პარტიზანობით შეპყრობილი ადამიანებისა, გარდა ამერიკის უპირობო მტრებისა არავის არ შეუძლია ამერიკის მთავრობას ბრალი დადოს მძევლების საკითხში და მას ძალის გამოყენება უკიჟინოს. მთელი ამ ხნის განმავლობაში 4 ნოემბრიდან დაწყებული, რაც ამერიკელ საელჩოს წევრებზე შანტაჟით ირანის ისლამური ხელისუფლება ამერიკის მიმართ აწარმოებს, ამერიკის მთავრობამ დიდი ზომიერება და თავდაჭერილობა გამოიჩინა. მთელი მსოფლიო ამ საკითხში ამერიკის მხარეზეა. თვით საბჭოთა მესვეურებიც საჯაროდ გმობენ ირანის მიერ მძევლებით შანტაჟს, მაგრამ თამ ეს ძალიან ხელს უწყობთ და ჩუმად ირანელებს აქეზებენ დათმობაზე არ წავიდნენ. სამხედრო კომანდოს მოწყობამდე ამერიკის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავრობამ ყველა მშვიდობიანი ღონისძიება მოშინჯა, მაგრამ ყველა უშედეგო დარჩა ერის მესვეურთა უპასუხისმგებლო მოქცევის გამო. პირველიდან ოთხ იანვრამდე მძევლების განთავისუფლების მისიით ირანში იმყოფებოდა „გეოს“ გენერალური მდივანი კურტ ვალდჰაიმი. ირანის მთავრობამ მას სამარცხვინო მასკარადი გაუმართა და თვით მისი სიცოცხლეც კი საფრთხეში აღმოჩნდა. ასევე უშედეგოდ დამთავრდა საერთაშორისო საანკეტო კომისიის საქმიანობა, რომელიც *15* თებერვლიდან *11* მარტამდე ირანში ირკვევდა ყოფილი შაჰის რეჟიმის კრიმინალობის და ამერიკელი მძევლების განთავისუფლების საქმეს.

ამერიკის საავადმყოფოში სამკურნალოდ მყოფი შაჰი ფაჰლევის გადაცემის მოთხოვნის დაკმაყოფილება ამერიკის მთავრობას არ შეეძლო. პოლიტიკური თავშესაფარი წმინდა და ხელშეუხებელია. ამერიკას და მის პრეზიდენტს, რომ ასეთი ეღირსი ნაბიჯი გადაედგა მას უეჭველად შერისხავდა, როგორც თვით ამერიკის, ისე საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრი.

ეჭვი არავის ეპარება, რომ ამერიკას გააჩნია საშუალებები ირანის დასანგრევად და ფანატიზმით შეპყრობილ მოღების ჭკუის სასწავლებლად, მაგრამ მას აკავებს ჰუმანიური მოსაზრებები და აგრეთვე თვით ისლამურ ირანის ორჭოფული მდგომარეობა. ირანში პოლიტიკურად ქაოტური მდგომარეობაა. მიუხედავად იმისა, რომ ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუცია მიიღეს და პრეზიდენტად ბანი სადრი აირჩიეს, ქვეყნის ნამდვილი პატრონი მოხუცი აიათოლა ხომეინია. ხომეინს როცა არ სურს პასუხისმგებლობას თავს არიდებს, ბანი სადრი თითქოს ზომიერებას იჩენს, მაგრამ საბოლოოდ უძლურია ფანატიური მოღების და გოშისტ სტუდენტების წინაშე

ცენტრალური მთავრობის შეუთანხმებლობას ემატება ირანში შემავალ ეროვნულ უმცირესობების განმათავისუფლებელი ბრძოლა. რევოლუციის პირველ დღეებშივე აზერბეიჯანში და ქურთისტანში შეიქმნენ ფაქტიურად ავტონომიური სახელმწიფოები. თეირანის ხელისუფლება ამას არ ცნობს, რის გამოც განუწყვეტელი სისხლისმღვრელი სამოქალაქო ომი მიმდინარეობს; ამათ ემატება ხუზისტანის არაბი მოსახლეობის სეპარატიული მოძრაობა და ტერიტორიული ნიადაგზე ურთიერთობის დიდათ გამწვავება ირანის და ირაკის მთავრობებს შორის.

ასეთ ვითარებაში ამერიკას აქვს მრავალი კოზირი უომრად ირანთან შექმნილი კრიზისი თავის სასარგებლოდ მოაგვაროს, მაგრამ საბჭოთა კავშირსაც არ ძინავს და საბოლოოდ ირანში კიდევ უფრო მეტად ვიდრე ავღანისტანში, საბჭოთა კავშირის და ამერიკის ინტერესი და მასთან ერთად დასავლეთი ევროპისაც ერთმანეთს ეტაკება, რომელსაც ადრე თუ გვიან მხოლოდ იარაღი გადაწყვეტს.

მაისი *1980* წელი გ. ჭალელი

--- --- --- --- --- --- --- --- --- --- --- --- ---

ტ ი ტ ო ს გ ა რ დ ა ც ვ ა ლ ე ბ ა

ამა წლის *4* მაისს ხანგრძლივი აგონიის შემდეგ *88* წლის ასაკში გარდაიცვალა კომუნისტური იუგოსლავიის დიქტატორი იოსიპ ბროზ ტიტო.

იოსიპ ბროზი დაიბადა *1892* წლის *25* მაისს ხორვატელი გლეხის ოჯახში, მიიღო გიმნაზიის ორი კლასის განათლება და *14* წლისა გაემგზავრა სიმდიდრისა და ავანტიურის საძებნელად. ახალგაზრდამ მთელი დასავლეთი ევროპა შემოიარა, მუშაობა დაიწყო როგორც ზეინკალის შეგირდმა, შემდეგში კი იყო მეტალურგიის მუშა, მაგრამ ნამდვილ ავანტიურას ის გვიან, მხოლოდ პირველ მსოფლიო ომის დროს, შეხვდება.ავსტრია–უნგრეთის იმპერიის ჯარისკაცი, იოსიპ ბროზი ტყვედ ჩავარდება რუსებთან და ურალში ამოყოფს თავს. აქ მას მოუსწრებს რუსეთის თებერვლის რევოლუცია და ბოლშევიკების ოქტომბრის გადატრიალება. ამბობენ, რომ ტიტო წითელ გვარდიაში შევიდა და კოლჩაკელთა წინააღმდეგ იბრძოდაო. ერთი უდავოა: იმ ხანად იოსიპ ბროზს შეეყარა კომუნისტური ბაცილა და *1920* წელს, როცა ის სამშობლოში დაბრუნდა ხდება იუგოსლავიის არალეგალური კომუნისტური პარტიის

აქტიური წევრი. ამ მომენტიდან ის ცნობილი ხდება ტიტოს სახელით. არალეგალურ მუშაობისათვის ტიტო ხშირად იყო დაპატიმრებული, *1928* წელს მას ხუთი წლის ციხე მიესაჯა. უნდა ვაღიაროთ, რომ ყარაგიორგევიჩის იუგოსლავიის სამეფო საპატიმროები დასასვენებელ სახლად გამოიყურება დღევანდელ კომუნისტურ გულაგებთან შედარებით. ამ ხუთი წლის პატიმრობის დროს ტიტომ ყმაწვილობის დროს დაკლებული სწავლა შეივსო. მან განსაკუთრებით კარგად შეისწავლა მარქსისტულ–ლენინური ლიტერატურა, რაც მისი შემდეგი კარიერისთვის ყველაზე მეტად საჭირო და გამოსადეგი იყო.

1935–36 წლებში ტიტო მოსკოვშია, კომინტერნში მოღვაწეობს. *1937* წელს, იუგოსლავიის კომპარტიის გენერალურ მდივანს, გორკიჩს, სტალინი კრემლში გამოიძახებს და ლუბიანკის განთქმულ დილეგში დაახვრეტიებს. ცოტა ხნის შემდეგ ტიტო ინიშნება მის ადგილას. ტიტოს სახელი განსაკუთრებით გახმიანდება მეორე მსოფლიო ომის დროს, როცა ის სათავეში ჩაუდგება იუგოსლავიის პარტიზანულ რაზმებს.

ჰიტლერის გერმანიაზე გამარჯვების შემდეგ ტიტოს მჭიდრო ურთიერთობა აქვს საბჭოთა კავშირთან. *1945* წელს კრემლში სტალინი და ტიტო ხელს მოაწერენ სამეგობრო და საკავშირო ხელშეკრულებას, მაგრამ სულ მაღე მათ შორის უნდობლობა ჩამოვარდება. სტალინი მოითხოვს ხმის შეუბრუნებლად დაქვემდებარებას, ტიტოს კი უნდა ავტონომია შეინარჩუნოს საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში. მათ შორის ურთიერთობა სწრაფად უარესდება და როცა ფარული მეთოდებით ტიტოს ლიკვიდაციას ვერ ახერხებს, სტალინი მას კომინფორმიდან გამოაძევებს. ამის შემდეგ ტიტო და ტიტოიზმი საფრთხობელა ხდება კომუნისტურ სამყაროსათვის. მიუხედავად არაჩვეულებრივი დაწოლისა, ტიტომ გაუძლო ყოვლისშემძლე სტალინის მუქარას, საბოლოოდ გამარჯვებული გამოვიდა გოლიათთან ბრძოლაში და იუგოსლავიის სახელმწიფო კრემლისაგან დამოუკიდებელი გახადა.

სტალინის სიკვდილის შემდეგ, ნიკიტა ხრუშჩოვმა დათმობა და შერიგება არჩია, ტიტოს ბელგრადში ეწვია და საჯაროდ აღიარა იუგოსლავიის უფლება თავისებურად აშენოს სოციალიზმი. ოფიციალურად ლ. ბრეჟნევიც მის მიერ დამხობილ წინაპრის გზას გაჰყვა, მაგრამ საბჭოთა მთავრობას ხელი არ აუღია იუგოსლავიის დამორჩილებაზე, საბჭოების მთავარ შტაბში მუდამ არსებობს იუგოსლავიის მხედრული დაპყრობის გეგმები, ხოლო პოლიტიკურად კრემლი ხელს უწყობს ეგრედ წოდებულ იუგოსლაველ კომინფორმისტებს, რომელთა მიზანია იუგოსლავია ისევ კრემლის ორბიტს დაუბრუნოს. ამიტომ ბრეჟნევის პირადათ დასწრება ტიტოს დასაფლავებაზე და იქ მის მიერ დაღვრილი კროკოდილის ცრემლები შეშფოთებას უფრო იწვევს იუგოსლავიის მმართველ წრეებში ვიდრე ნუგეშს. ყველა სერიოზული კომენტატორი სვამს კითხვას: ტიტოს მიერ შექმნილი იუგოსლავიის სახელმწიფო წყობილება, მისი შემქმნელის სიკვდილის შემდეგ გამოიჩენს სიმტკიცეს და გაუძლებს რუსეთის დამანგრეველ ზემოქმედებას? ამაზე პასუხს მხოლოდ მომავალი გასცემს.

აღმოსავლეთ–დასავლეთის ურთიერთობაში იუგოსლავიას დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. ეჭვი არ არის, რომ დასავლეთი ხელს შეუწყობს რათა იუგოსლავია მიუმხრობელი და მოსკოვისადმი დამოუკიდებელი ქვეყანა დარჩეს. ამიტომ კომუნიზმსა და დემოკრატიის შორის ბრძოლა პარადოქსალურად კომუნისტურ იუგოსლავიაში იჩენს თავს და ამიტომ ქვეყნის ამ კუთხეს დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ მომავალში, დღეს კი ტიტოს სიკვდილთან დაკავშირებით, მისი მოღვაწეობიდან შემდეგი გაკვეთილი გვინდა გამოვიტანოთ:

1. ტიტოს მაგალითმა გააქარწყლა მარქსისტების მტკიცება, თითქოს ერთა შორის ანტაგონიზმი და მაშასადამე ომებიც მოისპობოდა კაპიტალისტური რეჟიმის დამხობისა და სოციალისტურის გამარჯვებისთანავე.
2. ტიტომ, რომელიც კომუნისტური ინტერნაციონალის ნამდვილი პროდუქტი იყო და რომელიც მისივე აღიარებით, სიკვდილამდე ერთგული დარჩა კომუნისტური იდეებისა, ერის ინტერესები უფრო მაღლა დააყენა ვიდრე საერთაშორისო კომუნიზმისა.
3. მსოფლიოს პოლიტიკურ წონასწორობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რომ ერთი ნებისმიერი ერის ჰეგემონიით შექმნილი იმპერია უსაშველოდ არ გაიზარდოს და მსოფლიო იმპერიად არ იქცეს. ამ შემთხვევაში საკითხი ეხება რუსების მიერ შექმნილ იმპერიას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრემლის უზენაესობას კომუნისტური ბანაკიდან პირველი მარშალი ტიტო აღუდგა წინ წარმატებით და ამრიგად ტიტო წინამორბედია ნაციონალური კომუნიზმის. შემდეგ იმავე გზით წავიდა ანვერ ხოჯას პატარა აღბანეთი და მაოს უზარმაზარი ჩინეთი. ამრიგად ლახვარი ჩაეცა რუსული კომუნიზმის ჰეგემონიას და დასაბამი მიეცა მრავალცენტრულ კომუნიზმს. ამ მოვლენას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს კაცობრიობის შემდეგი განვითარებისათვის. კომუნისტურ წყობილებას თუ მსოფლიოში გამარჯვება უწერია, მაშინაც კომუნიზმის ძირითადი პოსტულატი ერთა კვდომისა არ ხორციელდება და კაცობრიობის მომავალი სუვერენ ერთა კავშირის და ურთიერთობის გზით მიემართება.

გ. წერეთელი

ქართველები ირანში
ფერეიდნიდან წიგნი მოვიდა

ჩვენს ხელთ არის ირანის ძველ დედაქალაქ ისპაჰანში სულ ახლახან სპარსულ ენაზე გამოსული წიგნი „ქართველები ირანში". ამ დიდი ნაშრომის ავტორია მაჰმად სეფიანი (სეფიაშვილი). შესავალში ავტორი წერს: „ამ წიგნში ლაპარაკია იმ ქვეყანაზე, რომელიც შავი ზღვის პირად მდებარეობს და თავისმა შესანიშნავმა სტრატეგიულმა და ბუნებრივმა პირობებმა საუკუნეების განმავლობაში დიდი მოვლენების ცენტრში მოაქცია, სისხლიანი დღეებისა და ხოცვა-ჟლეტის ასპარეზი გახადა. ზოგჯერ ისეთი ძლიერი დამპყრობლების, როგორიც იყვნენ აღექსანდრე მაკედონელი, ჩინგისხანი, თემურ-ლენგი და კიდევ სხვანი მრავალნი, ყურადღებას იქცევდა, იმართებოდა დიდი ომები, მაგრამ მაინც გადარჩა. აქ, ამ პატარა მიწაზე ერთმანეთს ეჯახებოდა ოსმალოთა და სპარსთა, ბერძენთა და სხვათა ინტერესები, რაც ძვირად უჯდებოდა ქვეყანას".

შემდეგ ავტორი მოკლედ მიმოიხილავს საქართველოს ისტორიას და გეოგრაფიას. უხვად იყენებს ძველი იტალიელი, ბერძენი, სპარსი და თურქი მოგზაურებისა და ისტორიკოსების ჩანაწერებს, მეტად საინტერესო მასალებს იძლევა ქართველ ხალხზე.

იგი გულისტკივილით ლაპარაკობს მეჩვიდმეტე საუკუნის იმ მძიმე წლებზე, როცა სისხლიანი შაჰ-აბას პირველის განკარგულებით დაიწყო ქართველთა უმოწყალო ხოცვა-ჟლეტა და ირანში გასახლება. იხსენებს აფრიკაში გავრცელებულ დიდ ნადირობას ზანგ მოსახლეობაზე, როცა მათ მონებად ჰყიდნენ ამერიკის შავ ბაზარზე და მწარედ შენიშნავს: „ამ ორ დიდ სამარცხვინო აქციას შორის განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ იქ, დასავლეთში ძალმომრეობის მსხვერპლი შავკანიანი გახლდათ, კავკასიაში კი თეთრი ადამიანი".

აქედან იწყება ქართული კოლონიების ისტორია ირანის მიწაზე. ქართველმა კაცმა კვლავ გამართა კერა ხორასანში და მაზანდარანში, გილანში, ფარსში, აბასაბადში, იზადხასტში, ფერეიდანსა და ხუზისტანში. ფერეიდანში ქართველთა დასახლების ძირითადი მიზანი ის იყო, რომ ქართველებს ირანის საზღვრები უნდა დაეცვათ ბახტიართა განუწყვეტელი შემოსევისაგან.

ქართველები ნელ-ნელა შეერევნენ ირანელებს, დაჰკარგეს ენა და ადათ-წესები, გაქრა ბევრი ჩვენი კოლონია, გადარჩა მხოლოდ ფერეიდანი, სადაც ჩვენი აკვნიდანვე სწავლობს ქართულს და დედის ძუძუდან მძლავრად იწოვს ყველაფერს მხოლოდ ქართულს და მეტს არაფერს. ფერეიდანში ქართული ენა არ იდევნება. ის კი არადა, აქ მცხოვრებმა სპარსელებმა და ბახტიარებმაც დიდი სიყვარული გამოავლინეს ამ ენისადმი, სიამოვნებით სწავლობენ მას და ზოგიერთი უცხო ტომის ოჯახისათვის იგი მშობლიურად იქცა. წიგნის ამ მონაკვეთში დაბეჭდილია ქართული ანბანი და დათვლის ქართული წესი.

ავტორი ფართოდ მიმოიხილავს ფერეიდნის გეოგრაფიას, ეკონომიკას, კლიმატს, მოსახლეობის საქმიანობას, ზნე-ჩვეულებებს.

ავტორი აღნიშნავს, რომ ურბანიზაციის პროცესი ფერეიდანსაც შეეხო. ახლა ბევრი ფერეიდნელი ღუკმაპურის საშოვნელად სოფლიდან მიდის, ქალაქად სახლდება. გაჩნდა ქართველთა დასახლებები ირანის ბევრ ქალაქში, მათ შორის თეირანსა და ისპაჰანში. თეირანში ერთ-ერთ ქუჩას ეწოდა „ქართველების პროსპექტი“.

შემდეგ ავტორი მიმოიხილავს საქართველო–ირანის კულტურულ ურთიერთობას. ხაზს უსვამს მის ღრმა ფესვებს. აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ ქართველები სწრაფად წინაურდებოდნენ ირანის სამსახურში. იმათ შორის, ვინც ირანში აღზევდა, უპირველესია აღავერდი ხანი.– უნდილაძე, რომელიც ქვეყანაში შაჰის შემდეგ პირველი კაცად იქცა. აღავერდი ხანმა ისპაჰანში მდინარე ზაიანდერუდზე ააშენა ოცდაცამეტკამპრიანი ხიდი, რომელიც დღესაც ემსახურება ისპაჰანელებს. აღავერდი ხანი ირან–თურქეთის გაფფრებულ ომებში შაჰ–აბას პირველის ერთადერი იმედი იყო. იგი *1626* წელს დაინშნა ირანის ჯარის უმაღლეს მთავარსარდლად და დიდი რეფორმები განახორციელა, რის შედეგადაც ირანის შეირაღებული ძალები იმ დროისთვის პირველხარისხოვანი გახდა.

ავტორი მიმოიხილავს აგრეთვე სხვა გამოჩენილი ქართველების – გორგიხანის, ხოსროხანის და სხვათა მოღვაწეობას ირანის შაჰის კარზე, აღნიშნავს ქართველთა დიდ როლს ენჯომინების დროს.

წიგნის ავტორი მაჰმად სეფიანი (სეფიაშვილი), ფერეიდნელი ახალგაზრდა კაცია, დაამთავრა ისპაჰანის უნივერსიტეტის გეოგრაფიის ფაკულტეტი, ამჟამად მთელ თავის ენერგიას და ცოდნას ახმარს თავის ხალხს – მუშაობს ფერეიდულ–შაჰრში (ზემო მარტყოფი) პირველი საშუალო სკოლის დირექტორად და ემზადება სამეცნიერო ხარისხის დასაცავად. აქ ისიც უნდა ვთქვათ, რომ მთელ ფერეიდანში განათლების საქმეს სათავეში უდგას ამირან მიქელანი (მიქელაძე), უმცროსი ძმა ამ წერილის ერთ–ერთი ავტორისა.

ეს წიგნი ერთადერთია, რაც ირანის მთელი ისტორიის მანძილზე ამ ქვეყანაში გამოიცა ირანელ ქართველებზე. ავტორს დიდძალი მასალა შეუკრებია, რუდუნებით დაულაგებია და წიგნში შეუტანია. ახლა, როცა ირანში დაამხეს შაჰის სისხლიანი რეჟიმი და ხალხი ახალ ცხოვრებას იწყებს, ამ წიგნის გამოსვლა საყურადღებოა. იგი ნათელ წარმოდგენას მისცემს ირანელ ხალხს მეზობელ ქართველებზე.

გაზეთ „კომუნისტი“ *19. 3. 80* რევაზ მიქელაძე
როდამ ჩაჩანიძე

დ ე დ ა ე ნ ა ფ ე რ ე ი დ ა ნ შ ი

ირანის ფერეიდანის რაიონის ზოგადსაგამანათლებლო სკოლებში შემოუღიათ ქართული ენის სწავლება. *16* თებერვლის გაზეთი კომუნისტი წერს: „დედაენის წიგნების პირველი პარტია უკვე გაიგზავნა. ახლა ფერეიდანის სკოლებისათვის გამოსაცემად მზადდება ქართული ენის სპეციალური სახელმძღვანელოები“-ო.

--- --- --- --- ---

ზ ო გ ი ე რ თ ი შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

ემიგრაციაში ხშირად იწერება შეფიცულთა რაზმელებზე არასწორი ამბები, ამისთვის მინდა გავაცნო ქართულ საზოგადოებას სინამდვილე. ჩვენ, შეფიცულები სამიოდე კაცი დავრჩით და სანამ ცოცხლები ვიქნებით წმინდად დავიცავთ ჩვენი ბელადის და პირადად ჩემი მეგობრის სახელს, და აგრეთვე, ჩვენი რაზმელების სახელებს. ჩვენი თავგადასავალი მე დაწვრილებით მაქვს აწერილი ჩემს მოგონებაში, აქ კი ცოტა რამე მინდა ვთქვა ზოგიერთ ნაწერებზე, რომლებიც სინამდვილეს არ შეეფერებიან. ვგულისხმობ განსვენებულ თამარა პაპავას მოგონებას „გაბნეული საფლავები“. წიგნის *65-66* გვერდზე წერს ვითომ *1922* წელს ქაქუცა მთელი თავისი რაზმით მისული აღავერდობის დღესასწაულზე. ვითომც ქაქუცას დაუვალებია „მელინეიკე“ გიგოლასათვის თამარასათვის გადასაცემად, რომ ქაქუცამ გამომგზავნა, ვთხოვთ უთუოდ ამობრძანდეთ აღავერდშიო- თამარაც გაფრენილა. შემდეგ წერს: „ქაქუცას რაზმი, რომ აღავერდობის დღეობაზე შემოვიდა იქ მოგროვილი აუარებელი ხალხი მუხლებზე დაეცა და ერთხმად დაიძახა საქართველოს გაუმარჯოსო.“ იქვე კი წერს,

n18/35

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ საქართველოს რუსები ძველებურად ხიშტებით დარაჯობდნენ, ხოლო ისტორიულ ალავერდის გალავანს კი ქართველი იუდებიო. როგორ გინდათ ახსნათ? ალავერდის ეკლესიაში იუდები დარაჯობდნენ და ამ დროს თურმე რაზმით შემოდის ქაქუცა იქ?! კიდევ ერთ-ერთ ეპარქიაში, ის წერს: ქაქუცას და მის რაზმს არ მოვშორებივარ მთელი ათი დღის განმავლობაში. მისი ოჯახობა და ნაცნობ-მეგობრები ლინეიკით წინ მიგდიოდით და უკან კი ქაქუცა და მისი ერთგულები მოგვდევდნენ ცხენებითაო. ასე მივდიოდით ერთი სოფლიდან მეორეში, ნათესავებთან და მეგობრებთან. ყველგან იყო რთველი და მაჭრობა და გულუხვი მასპინძლობა... და ასე ათი დღე გაშლილი სუფრა და თავისუფალი ლხინი იდგა. ყოველი მკითხველი მიხვდება,რომ ეს უფრო ზღაპარს ჰგავს ვიდრე სინამდვილეს. ათი დღე მთელი შეფიცულთა რაზმი ქეიფობდა და თურმე ჩეკას ძინებია! მოკლედ იმ დროის სინამდვილე კი ასე იყო: *1922* წ. დასაწყისში უკვე რამდენიმე შეტაკება გვქონდა კომუნისტებთან. ერთი მათგანი სიღნაღის მაზრაში, სადაც თორმეტი კაცი მოკვდა მათი, ექვსი ჩეკისტი დაიხვრიტა. ერთი ცხენმა გაიტაცა ორივე ხელებში დაჭრილი, დანარჩენები ყველა ტყვედ ჩავარდა. ამ შეტაკებაში ჩვენ ვიყავით *21* კაცი, ისინი *50 - 55*. იარაღაყრილი ტყვეები ქაქუცამ დაარიგა და გაუშვით. ამის შემდეგ დიდი მდევარი დაგვდევდა, ჩვენი თავის გამოყოფა, ნამეტნავად დღისით, სოფელში შეუძლებელი იყო. აგვისტოს ბოლოში ბრძოლა წავაგეთ, რაზმი მომწყვდეული იყო ხევსურეთში, მაგრამ ერთ ღამეს რკალი გაარღვია რაზმმა და წავიდა სიღნაღის მაზრისაკენ. მე გაგზავნილი საქმეზე, ჩავრჩი ხევსურეთში, იქიდან ვაივაგლახით გადავედი ჩეჩნეთში და იქიდან საქართველოში. მთელი სამი თვე ვეძებდი რაზმს, მარტოკა ვეგდე ტყეში, დეკემბრის შუა რიცხვებში ძლივს შევუერთდი რაზმს. ალავერდობა მოდის *15* სექტემბერს, რაზმი ამ დროს იმყოფებოდა ღაგოდეხის ტყეებში, იქ მოუხდათ დიდი სროლა სადაც მოჰკლეს განსვენებულნი სიკო ჩოლოყაშვილი, ძმა ქაქუცასი და ქართველი ახალგაზრდა ბიჭი. იმ ხანებში საქართველო სისხლიდან იცლებოდა ნამეტნავად აღმოსავლეთ საქართველო, ყველა მაზრებში იყო შექმნილი რაზმები სპეციალურად ჩვენ სადევნად. ამის გარდა რეგულიარული რუსის ჯარიც. ვის ეცალა ალავერდობისთვის, ან ვის ექეიფებოდა! ამისთანა რამე არ მომხდარა, ეს შეუძლებელი იყო, რადგან, როგორც აღვნიშნე, ხევსურეთის აჯანყება ჩააქრეს აგვისტოს ბოლოში და ჩვენ ამის შემდეგ გააფთრებული დაგვდევდა მტერი. ასეთ პირობებში ჩვენი რაზმის შესვლა სოფელში და მთელი ათი დღის განმავლობაში ქეიფი როგორ შეიძლებოდა. ათი დღით კი არა ერთი საათით არ შეგვეძლო თავის გამოყოფა ტყიდან, ნამეტნავად დღისით.

გულახდილად უნდა ვთქვა, რომ ვწუხვარ ასეთი წერილის დაწერა რომ მიხდება განსვენებულ თამარა პაპავას მოგონებების გამო, მაგრამ მოვალეობას ვერ გაექცევა კაცი. ამ შენიშვნის გაკეთება საჭიროდ ჩავთვალე, რომ მცდარი და სრულებით არარეალური ამბავი ხალხმა სინამდვილედ არ მიიღოს.

(გაგრძელება იქნება შემდეგ ნომერში)

ალექსანდრე სულხანიშვილი

მწუხარებით ვაუწყებთ საზოგადოებას:

ამ წლის იანვარში ნიუ-იორკში გარდაიცვალა ლადო შარაბიძე.

--- --- --- --- ---

ამ წლის *28* თებერვალს პარიზში გარდაიცვალა **ჯუანშერ** ლადიძე. დასაფლავდა ღევილში.

--- --- --- --- ---

ამ წლის *4* აპრილს ქ. ოტსიტის(ამერიკის შ.შ.) საავადმყოფოში გარდაიცვალა ქალბატონი **ელენე ცინცაძისა- ფილსანს** და დაიკრძალა ქ. დალასის გრინვუდის სასაფლაოზე.

--- --- --- --- ---

და სამძიმარს ვუცხადებთ განსვენებულთა ოჯახებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს ა მ შ ობ ლ ო ს ქ რ ო ნ ი კ ე ბ ი

თბილისის უნივერსიტეტის ახალი რექტორი

ედუარდ შევარდნაძემ თბილისის უნივერსიტეტის მეცნიერთა საერთო კრებას წარუდგინა უნივერსიტეტის ახალი რექტორი **ვაჟა მიხეილის ძე ოკუჯავა.** ვაჟა ოკუჯავა დაბადებულია *1930* წელს, არის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი და საქ. მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი დავით ჩხიკვიშვილი გადაყვანილია უმაღლეს და საშუალო ტექნიკურ განათლების მინისტრად.(გაზ. „კომუნისტი“ *15.03.1980.)*

--- --- --- --- ---

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში

მარტში ჩატარდა საქ. მეცნიერებათა აკადემიის წლიური საერთო კრება. კრებამ დაამტკიცა შემდეგი ცვლილებები: *1.* ამიერიდან საქ. მეცნიერებათა აკადემიის ახალ ნამდვილ წევრებს და წევრ-კორესპონდენტებს აირჩევენ ყოველ ორ წელიწადში ერთხელ და არა ყოველ ოთხ წელიწადში, როგორც აქამდე იყო. *2.* საქ. მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტებად დამტკიცებულია რესპუბლიკის აკადემიის აკადემიკოსები **ი. გვერდწითელი** და **გ. ჯიბლაძე.** *3.* საქ. მეცნიერებათა აკადემიის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივნად დაამტკიცა საქ. მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **ა. ცაგარელი,** ფიზიოლოგიისა და ექსპერიმენტული მედიცინის განყოფილების აკადემიკოს მდივნად დაამტკიცა საქ. მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **თ. ონიანი,** საქ. მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **ვაჟა ოკუჯავა** დანიშნულია აკადემიის პრეზიდიუმის წევრად, საქ. მეც. აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **ა. აფაქიძე** დაინიშნა საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს- მდივნის მოვალეობის შემსრულებლად. (გაზ. „კომუნისტი“ *13.01.1980.)*

--- --- --- --- ---

აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე ჟენევაში

მიმდინარე წლის მარტში აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე ჟენევაში იმყოფებოდა, სადაც მან წაიკითხა ლექციები ახალი ენათმეცნიერული თეორიის შესახებ, რომელსაც ეწოდება „გლოტალური თეორია.“ ამ თეორიის ფუძემდებლებია თვით თამაზ გამყრელიძე და საკავშირო სლავთმცოდნეობის და ბალკანისტიკის ინსტიტუტის სექტორის გამგე ვ. ივანოვი. გლოტალური თეორია ხსნის ინდოევროპულ ხალხთა ცივილიზაციას და მათ ურთიერთობას კავკასიურ ხალხებთან.

--- --- --- --- ---

„ ვარძია – წამლის სასახლე“

ამ სათაურით სამშობლოში გამოვიდა პროვიზორ **სოკრატ საღუქვაძის** წიგნი, რომელშიც დეტალურად არის აღწერილი კლდის ქალაქ ვარძიის აფთიაქი. ეს აფთიაქი ერთერთი მნიშვნელოვანი მატერიალური ძეგლია განთქმულ ციხე-ქალაქის კომპლექსში. პროფესორ მიხეილ შენგელიას და პავლე ფირფილაშვილის ნაშრომების საფუძველზე, ს. საღუქვაძეს შეუსწავლია და გამოურკვევია ეს იშვიათი ნაგებობა, მოუნახავს და აღუდგენია მისი ცაღკეული სათავსოები. მისივე ინიციატივით მიუღიათ ამ მსოფლიოში ერთერთი უძველესი ქართული აფთიაქის–ვარძიის რვა საუკუნოვანი წამლის სასახლის–მუზეუმად გამოცხადების გადაწყვეტილება.

სოკრატ საღუქვაძის წიგნი ბევრ საინტერესო ცნობას შეიცავს საქართველოში მედიცინისა და წამალთმცოდნეობის განვითარებაზე.

--- --- --- --- ---

თორმეტი შვილის დედმამა

ზუგდიდის რაიონის სოფელ ახალაბასთუმანის მკვიდრთ–არჩილ და ალექსანდრა **გულუებს** ჰყავთ *7* ვაჟი და *5* ქალიშვილი. თორმეტი შვილის დედა *36* წლისაა, მამა კი ორმოცისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველი კლასიკოსები ფრანგულად

ამ წლის მარტში „საბჭოთა საქართველოს“ გამომცემლობამ ფრანგულ ენაზე გამოსცა „ქართველ კლასიკოსთა ანთოლოგია“. წიგნის შემდგენელი და მთარგმნელია პოეტი **ტატიანა ავალიანი** და მასში თავმოყრილია ქართული პოეზიის შედევრები მეთორმეტე საუკუნიდან ჩვენს დრომდე.

--- --- --- --- ---

თბილისს წყალი აკლია

თბილისელებს ხშირად დღეების განმავლობაში წყალი არ აქვთ, ან აქვთ დღეში მხოლოდ ორი-სამი საათით. უწყლობით განსაკუთრებით დაზარალებული არიან მაღლობზე მდგარ სახლების მცხოვრებლები და მრავალსართულიან სახლების ზედა სართულებისა. წყლის კრიზისს მწვავედ განიცდიან თვით საავადმყოფოებიც კი, ხშირად უწყლოობის გამო იძულებული არიან პროცედურები და ქირურგიული ოპერაციები გადადონ ხოლმე. (გაზ. „კომუნისტი“. *7.02.1980.*).

--- --- --- --- --

თბილისის გოგირდის აბანოები

გაზ. „კომუნისტის“(*20.02.1980.*) კორესპონდეტი გოდებს თბილისის ბუნებრივ აბანოების დაკეტვის გამო. ერეკლეს განთქმულ აბანოებში თურმე გოგირდოვანი ცხელი წყალი აღარ ამოქუხს. მიზეზი?– თბილისის მეტროსდა მეტეხის პლატოს ქვეშ საავტომობილო გზის გვირაბების მშენებლებს მიწის წიაღიდან მომდინარე წყლის არტერიები დაუზიანებიათ.

თურქეთის ქართველები

მისასალმებელი და აღმაფრთოვანებელია ცნობები ჩვენი ძმების, თურქეთის ქართველების ეროვნული გამოღვიძების შესახებ. ისინი სულ უფრო მეტი მონდომებით ეწაფებიან ქართული წერა-კითხვის და ქართული ცივილიზაციის შესწავლას. ამ დიდ მამულიშვილურ საქმეს მონდომებით და გატაცებით ემსახურება უკვე წლების განმავლობაში ქართველების ერთი გუნდი: **აჰმედ ოზკან მელაშვილი, ჰაირი ჰაირიოღლი- ვახტანგ ხინკილაძე, იბრაჰიმ გორაძე, ისმაილ კარა შავიშვილი, რიზა სანტეპე-აბაშიძე, ამირან ჩავლეიშვილი, შალვა თევზაძე** და სხვები. ესენი მესვეურობენ ქართული ენის, ხალხური სიმღერების და ცეკვების შესწავლას, ქართულიდან თურქულად თარგმნიან ისტორიულ ხასიათის და სხვა სანიმუშო ნაწარმოებებს, სცემენ პერიოდულ ორგანოს **„ჩვენებური“**-ს და ამ უკანასკნელად წამოიწყეს ქართული კულტურის სახლის აშენება ქ. ბურსას მახლობლად სოფ. **ხეირიეში.** მათ ესაჭიროებათ ფულადი დახმარება ამ დიდ მამულიშვილურ საქმეში და დარწმუნებულართ ეძიგრაცია მათ მხურვალედ გამოეხმაურება. დახმარებებს აგროვებენ პარიზის და ნიუ-იორკის სათვისტომოების თავმჯდომარეები. ბ-ნ მელაშვილის მისამართი: *P.K. 199 BURSA*

შემოწირულებები (ფრანგულ ფრანკებში)

დავით ვაშაძე–ვიქტორ ნოზაძის გარდაცვალების 5 წლისთავის აღსანიშნავად	500
აკაკი გამსახურდია	50
ქრისტეფორე იმნაიშვილი	50
ერთგული მკითხველი	100
მართა სტურუა	30
მეგობარი	200
ელენე მგალობლიშვილი	70
გრიგოლ წერეთელი	100
ნიკოლა ანთაძე	100
ლუბა აბდუშელი	150
რუბენ გვეტაძე	150
შალვა ცინცაძე	184.45
დავით თოხაძე	500
დავით ბერძენიშვილი	226.
ტიტიკო ჩხეიძე	59.78
რაფიელ ჯაში	200.
ზოსიმე ჯიშკარიანი–ლევან ზურაბიშვილის და სევერ. ჭირაქაძის მოსაგონრად	-200
ჯამი	2 870.23

DIRECTEUR: GEORGES TSERETELI. 8, RUE DES MARCHAIS. 75019 PARIS. TEL: 607.08.14